პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 113 (10199) | შაბათი, 14 მაისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერშია:

ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. — „პრავდის“ 13-V მოწინავე (1-ლი გვერდი).
ახალი სესხი წარმატებით ვრცელდება რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
მოდიან, მოუხარიათ... (1-ლი გვერდი).
განაწესი მშვიდობის მსოფლიო ასამბლეაზე წარგზავნილ საბჭოთა დელეგატებს (მე-2 გვერდი).
მ. დ. ჩუბინიძე. — დეპუტატი ხალხის მსახურია (მე-2 გვერდი).
„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა პროფესორ ანდრე ბონარს (მე-2 გვერდი).
კომუნიკე ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხთა ევროპის სახელმწიფოების ვარშავის თათბირის 13 მაისის სხდომის შესახებ (მე-3 გვერდი).
მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო [illegible] შორისო კონფერენცია (მე-3 გვერდი).
საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პლენუმი (მე-3 გვერდი).
ევროპის სახელმწიფოთა ვარშავის თათბირი ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის

ამ დღეებში საზოგადოებრიობის ფართო წრეების ყურადღება მიპყრობილია ვარშავისადმი, სადაც მუშაობს ევროპის სახელმწიფოთა თათბირი ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ. ამ თათბირის მნიშვნელობა, რომელიც ესოდენ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს ისახავს, ყველასათვის ცხადია.

ვარშავის თათბირი შეიკრიბა საერთაშორისო ვითარებაში, რომელსაც ახასიათებს მთელი მსოფლიოს აგრესიული ძალების აქტივობის გაძლიერება. მდგომარეობა ევროპაში შეიცვალა: საერთაშორისო ასპარეზზე კვლავ გამოდის გერმანიის მილიტარიზმი. პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შედეგად დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებმა და რევანშისტებმა შესაძლებლობა მიიღეს აშკარად შეუდგნენ კადრის არმიის შექმნას და მოამარაგონ იგი ყველა სახეობის თანამედროვე იარაღით, მათ შორის ატომური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღით. დასავლეთი გერმანია აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკისა და დასავლეთ ევროპის სამხედრო კავშირის წევრი ხდება. ევროპაში ჩნდება ომის საფრთხის მთავარი კერა.

მსოფლიოს სხვა რაიონებში აგრეთვე იქმნება სამხედრო ბლოკები როგორც აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის დანამატები.

სამხედრო დაჯგუფებათა შექმნასთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ ღონისძიებებს თავიანთი სამხედრო ბაზების ქსელის გასაფართოებლად განსაკუთრებით საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საზღვრების ახლოს. აგრეთვე ცნობილია, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს სესიამ მიიღო გადაწყვეტილება ატომური ომის მომზადების შესახებ.

ამ პირობებში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის განუხრელ და თანმიმდევრულ ბრძოლას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ახლა საყოველთაო ყურადღების ცენტრშია სსრ კავშირის ახალი წინადადებანი, რომლებიც შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად ატომური იარაღის აკრძალვის, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე. უდიდესი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, ახალ საბჭოთა წინადადებებს, რომელთა მიზანია განიარაღებისადმი ეფექტიანი კონტროლის უზრუნველყოფა.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს „ცივ ომს“ ყოველი ფორმით და გამოვლინებით. შეიძლება მივიღოთ და კიდევაც უნდა მივიღოთ რადიკალური ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად, საერთაშორისო ურთიერთობაში საჭირო ნდობის შესაქმნელად, რაც განიარაღების პრობლემის ნამდვილი პრაქტიკული გადაწყვეტის მთავარი წინაპირობაა. საბჭოთა წინადადებანი გვიჩვენებენ თანამედროვეობის ამ უდიდესი ამოცანის გადაჭრის რეალურ გზას.

გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგება პირველ რიგში დამოკიდებულია დიდ სახელმწიფოებზე, რომლებსაც აკისრიათ მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა ვარშავის თათბირზე თავის გამოსვლაში თქვა, „საბჭოთა მთავრობა დადებითად ეკიდება დიდი სახელმწიფოების თათბირის იდეას. რა თქმა უნდა, ასეთი თათბირის მოწვევა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ იგი ნამდვილად შეუწყობს ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებას“.

ახორციელებს რა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკას, საბჭოთა კავშირი დარწმუნებულია, რომ ამ პოლიტიკას მხარს დაუჭერენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალები, რადგან ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ მშვიდობის შენარჩუნებასა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

როგორც ევროპაში, ისე აზიაში ცოტა როდია ქვეყნები, რომლებიც იცავენ თავიანთ ეროვნულ ინტერესებს და არა სურთ მიემხრონ აგრესიულ სამხედრო ბლოკებს, რომლებსაც დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეები აკოწიწებენ. ამ გზას, კერძოდ, უკანასკნელ დროს დაადგა ავსტრია. დასავლეთ ევროპის ხალხები ფართო ბრძოლას ეწევიან იმისათვის, რომ არ დაუშვან გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა, ფართო ბრძოლას ეწევიან პარიზის შეთანხმებათა განხორციელების წინააღმდეგ. ახალ პირობებში ძლიერდება ბრძოლა გერმანიის ეროვნული გაერთიანებისათვის. დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და მისი შეყვანა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შემადგენლობაში ძირითადი დაბრკოლებაა მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საწყისებზე გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღდგენის საქმეში. ამასთან ერთად სსრ კავშირი და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნები კვლავაც იქნებიან ერთიანი გერმანიის, როგორც თავისუფალი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენის მომხრენი.

გერმანიის გაერთიანების საქმეში, აგრეთვე ევროპაში მშვიდობის დაცვის საქმეში დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიძლება გახდეს აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის დაახლოება, მათს ურთიერთობაში დაძაბულობის შენელება, რაც სავსებით შესაძლებელი და საჭიროა.

საბჭოთა კავშირი კვლავაც ყოველი ღონისძიებით დაუჭერს მხარს გერმანიის ერთიანობის აღდგენასა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას მისაღებ საფუძველზე. საბჭოთა კავშირი კვლავაც დაუჭერს მხარს იმ ძალებს, რომლებიც იჩენენ დაინტერესებას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების დაცვითა და განმტკიცებით.

პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შედეგად შექმნილმა ვითარებამ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს დაუსახა ახალი ამოცანები — თავიანთი უშიშროების უზრუნველსაყოფად ღონისძიებათა გაერთიანების ამოცანები. რა თქმა უნდა, იმპერიალისტებს მოეწონებოდათ, რომ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები გულხელდაკრეფილი ისხდნენ და საპასუხოდ არაფერს აკეთებდნენ, იმპერიალისტები კი თავიანთ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას ახორციელებდნენ, იარაღდებოდნენ და სხვებს თავს ახვევდნენ თავიანთ ნებას. მაგრამ ასეთი მდგომარეობა არ იქნება.

როცა იქმნება სამხედრო ბლოკები საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, დემოკრატიული ბანაკის სახელმწიფოებს არ შეუძლიათ უმოქმედოდ იყვნენ, ისინი მოვალენი არიან განახორციელონ საპასუხო ღონისძიებანი, ერთობლივი მოქმედებით უზრუნველყონ თავიანთი უშიშროება.

ვარშავის თათბირი განიხილავს საბჭოთა კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების პროექტს. რვა ქვეყნის ხელშეკრულების პროექტში გარკვეულია ერთობლივი თავდაცვის ვალდებულებანი, თუ მოხდება შეიარაღებული თავდასხმა ხელშეკრულების რომელიმე მონაწილეზე. რვა სახელმწიფო ქმნის შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ სარდლობას, ძალებისა, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილეთა შეთანხმებით გამოყოფილი იქნება ამ სარდლობის გამგებლობაში.

რვა სახელმწიფო განახორციელებს სხვა შეთანხმებულ ღონისძიებებსაც, რომლებიც საჭირო იქნება მათი თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად, რათა ამით უზრუნველყონ თავიანთი საზღვრებისა და ტერიტორიების ხელშეუხებლობა და უზრუნველყონ დაცვა შესაძლო აგრესიისაგან.

რვა ქვეყნის ხელშეკრულებას, რომლის პროექტიც გამოტანილია ვარშავის თათბირის განსახილველად, საფუძვლად უდევს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები. ვარშავის თათბირზე პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იუზეფ ცირანკევიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ეს არის ხელშეკრულება, რომელიც დაიცავს ჩვენს სუვერენულ უფლებებს და რეალურად უზრუნველყოფს მათ. იგი უზრუნველყოფს ყველა მისი მონაწილის სუვერენიტეტის ურთიერთდაცვას“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ზუსტად დაცვის საფუძველზე რვა ქვეყნის ხელშეკრულება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ეფექტიანი საშუალება გახდება. ყველა სახელმწიფოს შეუძლია შეუერთდეს ამ ხელშეკრულებას, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა. ეს მოწმობს მის თავდაცვით ხასიათს, მოწმობს იმას, რომ დემოკრატიული ქვეყნების უმნიშვნელოვანესი საზრუნავი კვლავ არის სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა.

ვარშავის თათბირის მონაწილენი ჯერ კიდევ წინასწარი კონსულტაციის პროცესში ერთსულოვნად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულების მონაწილეებმა უარი თქვან სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შემდგომ ცდებზე. უფრო მეტიც, მათ განაცხადეს, რომ თუ სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა შეიქმნა, შეწყდება რვა ქვეყნის ხელშეკრულების მოქმედება.

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებს ურყევად აქვთ გადაწყვეტილი დარაზმონ თავიანთი ძალები, კიდევ უფრო განამტკიცონ თავიანთი მეგობრობა და თანამშრომლობა. ვარშავის თათბირზე საიმედო საფუძველი ეყრება მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა გაერთიანებულ მოქმედებას იმ მიზნით, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ მოსალოდნელ აგრესიას, იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ ევროპის მშვიდობა და უშიშროება.

ევროპაში აგრესიული გეგმების განხორციელების ცდებს ერთსულოვან წინააღმდეგობას გაუწევს მძლავრი სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და თავდაცვის მინისტრმა პინ დეხუაიმ, რომელიც ვარშავის თათბირს ესწრება როგორც მეთვალყურე, თავის განცხადებაში თქვა: „თუ ევროპაში მშვიდობა დაირღვა, თუ იმპერიალისტმა აგრესორებმა ომი გააჩაღეს ევროპის მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ, ჩვენი მთავრობა და ჩვენი ექვსასმილიონიანი გმირი ხალხი ჩვენი მოძმე ქვეყნების მთავრობებთან და ხალხებთან ერთად იბრძოლებენ აგრესიის წინააღმდეგ საბოლოო გამარჯვებამდე“.

საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების აქტიურ ბრძოლას მშვიდობის განმტკიცებისათვის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის მხარს უჭერენ და კიდევ უფრო დაუჭერენ მხარს მთელი მსოფლიოს ხალხები.

საბჭოთა ადამიანები მხურვალედ მიესალმებიან ევროპის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ვარშავის თათბირს, რადგან იგი მიაჩნიათ მნიშვნელოვან ნაბიჯად როგორც ევროპაში, ისე მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ამოცანების გადაჭრისათვის.

„პრავდის“ 13-V მოწინავე.

## ბერლინიდან დაბრუნდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია

12 მაისს ბერლინიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის მ. გ. პერვუხინის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობას იღებდა ჰიტლერული ტირანიისაგან გერმანიის განთავისუფლების მეათე წლისთავის დღესასწაულში. (საკდესი).

## ახალი სესხი წარმატებით ვრცელდება რესპუბლიკაში

### მეტალურგთა ქალაქში

რუსთავი. (საკ. კორ.). დღის ბოლოს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეთა ცვლა, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ვ. ნაზიძე ხელმძღვანელობს, მომდევნო ცვლის მეფოლადეებთან ერთად წითელ კუთხეში ოპერატიულ თათბირზე შეიკრიბა. ისინი ცვლის მიერ გაწეული მუშაობის ავკარგზე მსჯელობდნენ.

სწორედ ამ დროს რადიოთი დაიწყო გადმოცემა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. მეფოლადეები კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ ამ ცნობას.

სესხს ერთ-ერთმა პირველმა მოაწერა ხელი ცნობილმა ჩქაროსანმა მეფოლადემ გ. სიგუამ.

— მე სიხარულით ვაძლევ სახელმწიფოს ჩემს შრომით დანაზოგს, — თქვა მან, — დარწმუნებული ვარ, რომ ეს თანხა მოხმარდება მძიმე ინდუსტრიის აღმავლობას, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

დიდ თანხაზე მოაწერეს ხელი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, მეფოლადე ი. სამცოვმა, მეფოლადე ა. ფანცულაიამ, ამწე-მემანქანემ მ. ახვლედიანმა, ელექტრიკოსმა ვ. ბედნარსკიმ, უფროსმა ოსტატებმა ვ. გიგიბერიამ, ა. აკრიდინმა.

სესხზე ხელმოწერა ერთსულოვნად და წარმატებით ჩატარდა მილნამზადის, ბლუმინგის და სხვა საამქროებში.

### მეშახტეები იწონებენ ახალი სესხის გამოშვებას

ტყიბული. (საკ. კორ.). საბჭოთა მთავრობის დადგენილებას ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ მეშახტეები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ.

სტალინის სახელობის შახტის ახალგაზრდა მეშახტემ ი. ორჯონიკიძემ, გამოხატა რა ტყიბულელ მეშახტეთა გულისთქმა, განაცხადა:

— ყველა ჩვენგანი ხედავს, როგორ გაიზარდა ომისშემდგომ წლებში ჩვენი მშობლიური ქალაქი ტყიბული: აშენდა მრავალი ახალი საცხოვრებელი სახლი, კლუბები, სკოლები, საავადმყოფო, გამშვენიერდა ქუჩები. დიდი ცვლილებები მოხდა შახტებშიც. ისინი აღიჭურვნენ მძლავრი სამთო ტექნიკით. ყველაფერი ეს მშვიდობიანი შრომის, პარტიისა და მთავრობის ზრუნვის შედეგია. ჩვენი დანაზოგი, რომელსაც სახელმწიფოს სესხად ვაძლევთ, ხელს უწყობს სოციალისტური მძიმე ინდუსტრიის და სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, განამტკიცებს მშვიდობას მთელ მსოფლიოში. ამიტომ სახელმწიფოს სიამოვნებით ვაძლევ სესხად ჩემს დანაზოგს.

დიდი თანხა მისცეს სესხად სახელმწიფოს წარჩინებულმა მაღაროელებმა შ. შოთაძემ, შ. კაკაბაძემ, ა. ქობულაძემ, ვ. რასტვოროვმა, ა. მარაბინმა, ბ. დურმიშიძემ და სხვებმა.

ერთი საათის განმავლობაში სესხზე ხელი მოაწერა მეორე ცვლის მეშახტეთა ნახევარზე მეტმა.

დიდი წარმატებით დაიწყო და მიმდინარეობს ახალ სესხზე ხელმოწერა ლენინის სახელობის, მოლოტოვის სახელობისა და გელათის შახტებში.

### სამშობლოს საკეთილდღეოდ

თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის მუშამოსამსახურეებმა მხურვალედ მოიწონეს საბჭოთა მთავრობის დადგენილება ახალი სესხის გამოშვების შესახებ. ფაბრიკის მუშების აზრი გამოთქვა მთავარმა ინჟინერმა ა. ბუიშვილმა, როცა განაცხადა:

— ჩვენი სესხები ემსახურება საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეს, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეს. ეს სესხები ხელს უწყობს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების — მძიმე მრეწველობის ყოველი ღონისძიებით განვითარების ამოცანების წარმატებით შესრულებას და ამ საფუძველზე მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას. აი ამიტომ ყოველი ჩვენგანი სიხარულით აძლევს სახელმწიფოს სესხად თავის დანაზოგს.

თავიანთ მზადყოფნაზე — ერთსულოვნად მოაწერონ ხელი ახალ სესხს და ენერგიულად იშრომონ სამშობლოს საკეთილდღეოდ — ილაპარაკეს აგრეთვე საწარმოს მუშებმა შ. ქევხიშვილმა, ს. მალინიანმა, ზ. შაგოიანმა, ქ. აბშილავამ და სხვებმა.

მიტინგის შემდეგ ყველა საამქროში ერთსულოვნად დაიწყო სესხზე ხელმოწერა.

### მაღაროელთა გადაწყვეტილება

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურის მაღაროელები მოწონებით შეხვდნენ ცნობას ახალი სესხის გამოშვების შესახებ. სტალინის სახელობის მაღაროს მუშათა მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ცნობილმა მაღაროელმა ტ. ფოფხაძემ თქვა:

— ახალი სესხი მოხმარდება მძიმე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობას, ჩვენი სამშობლოს თავდაცვის განმტკიცებას და მშვიდობის საქმეს. მე ჩემს დანაზოგს სიამოვნებით მივცემ სახელმწიფოს.

პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და სესხზე სიხარულით მოაწერეს ხელი მაღაროელებმა კაპანაძემ და კალმახელიძემ.

ახალ სესხზე ხელმოწერა წარმატებით ჩატარდა ყველა მაღაროში და ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში.

### მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა

ზესტაფონი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს ახალ სესხზე ხელმოწერა. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ზესტაფონელი მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ.

სოფელ კვალითის კოლმეურნეობის მშრომელთა კრებაზე სიტყვა წარმოთქვა კოლმეურნე ზ. გაბრიჭიძემ:

— თვითეული კოლმეურნის პატრიოტული მოვალეობაა, — თქვა მან, — ხელი მოაწეროს ახალ სესხს. სესხის რეალიზაციიდან მიღებული სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეს მოხმარდება. სიხარულით ვაწერ ხელს ახალ სესხს და პირობას ვიძლევი კიდევ უფრო გავაძლიერო ბრძოლა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი მოსავლისათვის.

ცნობამ ახალი სესხის გამოშვების შესახებ დიდი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში.

რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში პირველ დღესვე დამთავრდა ახალ სესხზე ხელმოწერა. კოლმეურნეებს ნაღდ ფულად შეაქვთ ობლიგაციების ღირებულება.

## საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ

ორივე მხარის სურვილით, ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით და მშვიდობის განმტკიცების მიზნით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობა შეთანხმდნენ, რომ მოეწყოს მათი წარმომადგენლების შეხვედრა უმაღლეს დონეზე, და ამ მიზნით დანიშნეს დელეგაციები:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა — შემდეგი შემადგენლობით: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი.

იუგოსლავიის ფედერაციულმა სახალხო რესპუბლიკამ — შემდეგი შემადგენლობით: იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ-ტიტო, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილენი ე. კარდელი, ა. რანკოვიჩი, ს. ვუკმანოვიჩ-ტემპო, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კ. პოპოვიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი მ. ტოდოროვიჩი და საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვ. მიჩუნოვიჩი.

შეხვედრა მოხდება ბელგრადში 1955 წლის მაისის დამლევს.

## ავტომობილი „ვოლგა“

გორკის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში დაამზადეს მსუბუქი ხუთადგილიანი მანქანა „ვოლგის“ რამდენიმე ნიმუში.

ეს არის ახალი კომფორტაბელური ჩქარი ავტომობილი, რომელიც შეცვლის „პობედას“. მანქანის ძარა გაკეთებულია ხელახლა, დადგმულია 70 ცხენისძალის ძრავა და ავტომატური ტრანსმისია, რაც ადვილებს მართვას. მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 130 კილომეტრი საათში.

დაიწყო ავტომობილ „ვოლგის“ სახელმწიფო გამოცდა. მანქანები წამოვიდნენ მოსკოვში, ხოლო შემდეგ წავლენ შორეულ გადარბენაზე. (საკდესი).

## მოდიან, მოუხარიათ...

არაჩვეულებრივი გამოცოცხლებაა ამ დღეებში ჩრდილოეთ კავკასიის გზებზე. ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ცხვარი მაისის პირველ რიცხვებში დაიძრა საზამთრო საძოვრებიდან. ძნელია დათვალო კარგად ნაზამთრი ცხვრისა და ბატკნის ათასიანი ფარები. ბაჯიგანიდან ორჯონიკიძის მისადგომამდე გაისმის ცხვრის ბღავილი და გახარებული მწყემსების შეძახილები.

ცხვრის გადარეკვა წელს გაცილებით უკეთესად მიმდინარეობს, ვიდრე წინა წლებში. ეტყობა, რაიონების ხელმძღვანელმა ორგანოებმა ადრიდანვე იზრუნეს გადარეკვის ორგანიზებულად ჩატარებისათვის. როგორც წესი, მწყემსებთან ერთად იმყოფებიან ვეტექიმები, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები, აქ არიან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები.

გადასარეკ ტრასზე მოწყობილია დატარებითი ვაჭრობა. სპეციალურ ავტომანქანებზე გამართულ ფარდულებში მწყემსებს შეუძლიათ გზაშივე შეიძინონ მათთვის საჭირო საქონელი.

ამინდი ხელს უწყობს გადარეკვის წარმატებას. ცხვრის ძირითადმა ნაწილმა ტრასის ყველაზე ძნელი უბანი (მერვე საბჭოთა მეურნეობიდან იშჩორსკაიამდე) გაიარა შედარებით გრილ დღეებში. აღსანიშნავია, რომ გზის ამ ნაწილს მეცხვარეები კვლავ უწყლოს ეძახიან, რადგან ისე, როგორც წინა წლებში, აქ არ არის საკმარისი წყალი, რასაც ახლო მომავალში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩრდილოეთ კავკასიაში ამჟამად ცხელი დღეები დგას. მწყემსები მხნედ მიაბიჯებენ მშობლიური სოფლებისაკენ. ისინი უსაზღვროდ გახარებული არიან ნაყოფიერი დოლით. ცხვრის გამოზამთრების საუკეთესო შედეგით.

იშჩორსკაია!

ეს სტანიცა გაშენებულია თერგის ნაპირას. ბაჯიგანიდან წამოსული ცხვარი გადადის თერგზე აგებულ ხიდს. აქ მოწყობილია ერთგვარი საკონტროლო პუნქტი, სადაც ცხვარს ამოწმებენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენლები. აქვეა მწყემსთა სასადილო, ვეტერინარული და სამედიცინო პუნქტები. მას შემდეგ, რაც ცხვარი გაივლის ვეტერინარულ შემოწმებას, ფარები აგრძელებენ გზას ვოზნესენსკამდე, იქიდან კი დარიალის ხეობით საქართველომდე.

იშჩორსკაიას ხიდი უკვე გაიარეს დუშეთის, თიანეთის, ახმეტის, ყაზბეგის რაიონების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობათა ფარებმა. ეს უზარმაზარი ლაშქარი ახლა გაშლილია გადარეკვის მთელ ტრასზე.

მგზავრობის ორგანიზაცია სანიმუშოდ მოაწყეს დუშეთის, თიანეთის, ლენინგორის, ყაზბეგის და სხვა რაიონების კოლმეურნეობათა ფერმებმა.

დოლი ძირითადად დამთავრდა, მაგრამ მგზავრობის დროსაც მრავალი ბატკანი იბადება. ამიტომ საჭიროა ტრანსპორტი ჩვილი ბატკნების გადასაყვანად. ამას გარდა, დარიალის ხეობაში მოსალოდნელია ამინდის ცვალებადობა. ყველაფერი ეს უნდა გაითვალისწინონ რაიონების ხელმძღვანელმა ორგანოებმა და სათანადო ზომები მიიღონ ფერმების ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად.

სამწუხაროდ, წელსაც არავითარი ყურადღება არ ექცევა მწყემსთა კულტურულ მომსახურებას. ადამიანებს, რომლებიც მგზავრობაში საშუალოდ ერთ თვეს ატარებენ, საშუალება არა აქვთ წაიკითხონ გაზეთი, მოუსმინონ აგიტატორს, ნახონ კინოსურათი, რის გამო ისინი სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

იშჩორსკაიადან კავკასიონის მთები არა ჩანს. ვოზნესენსკიდან კი მწყემსები იისფერ ნისლში ხედავენ ჰალარა მყინვარის ნაცნობ სილუეტს. მშობლიურ სოფლებში მწყემსებს ელიან ოჯახის წევრები, ნაცნობ-მეგობრები, მეზობლები. ამიტომ თვითეული ისწრაფვის წარმატებით ჩაატაროს მგზავრობა და ახალი გამარჯვებით წარსდგეს ხალხის წინაშე.

• • •

ცხვარი უახლოვდება დარიალის ხეობას. გამარჯვებულ მეცხვარეებს ყაზბეგელები საზეიმო შეხვედრას უწყობენ.

ა. თოშაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.



დუშეთის რაიონის სოფელ უძილაურის კოლმეურნეობის მწყემსებმა წელს სერიოზული წარმატება მოიპოვეს. საუკეთესოდ გამოაზამთრეს ცხვარი და მთლიანად შეინარჩუნეს ნამატი. ცხვარი დაიძრა საზაფხულო საძოვრებისაკენ. სურათზე: სოფელ უძილაურის კოლმეურნეობის ცხვარი ქალაქ ორჯონიკიძის მიდამოებში.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# განაწესი

## მშვიდობის მსოფლიო ასამბლეაზე წარგზავნილ საბჭოთა დელეგატებს

ჩვენ, მშვიდობის მომხრეთა V სრულიად საკავშირო კონფერენციის დელეგატები, შევიკრიბეთ რა საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის წინ, მივესალმებით ინიციატივას, რაც გამოიჩინა მშვიდობის მსოფლიო საბჭომ, რომელმაც მოიწვია ყველა მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენელთა ეს საერთაშორისო შეხვედრა.

ჰელსინკში ერთმანეთს შეხვდებიან მსოფლიოს მეტი წილი ქვეყნების სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულების ადამიანები. ეს შეხვედრა მოწვეულია იმ მომენტში, როცა ევროპასა და აზიაში, ახლო აღმოსავლეთში და მსოფლიოს სხვა ნაწილებში გაძლიერდა საფრთხე ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ. აგრესიული წრეები აშკარად ემზადებიან ატომური ომისათვის. მათ ხალხთა ნების წინააღმდეგ მიაღწიეს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას და იწყებენ ვერმახტის აღდგენას. ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ყველა ნაწილში ქმნიან აგრესიულ სამხედრო ბლოკებსა და დაჯგუფებებს, ყველგან აგებენ თავიანთ სამხედრო ბაზებს. ომის ძალები, გერმანიისა და კორეის ხალხთა ნების წინააღმდეგ, ცდილობენ არ დაუშვან ამ ქვეყნების მშვიდობიანი გაერთიანება. საფრთხეშია ჟენევის თათბირზე მიღწეული შეთანხმება ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის შესახებ. კვლავ დაძაბული მდგომარეობაა კუნძულ ტაივანის რაიონში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის შეიქმნა, არ ასრულებს თავის ძირითად ამოცანას — იხსნას ხალხები ახალი ომის საფრთხისაგან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმეტესობა, რომელსაც ამერიკის აგრესიული წრეები ხელმძღვანელობენ, უარყოფს საბჭოთა კავშირის წინადადებებს იმის შესახებ, რომ დაიდოს საერთაშორისო შეთანხმება, შემცირდეს შეიარაღება და აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღის წარმოება და უარს ამბობს იმაზე, რომ ცნონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებლები კვლავ ახორციელებენ ძალის პოლიტიკას საერთაშორისო ურთიერთობაში. ამ პოლიტიკას შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ ახალი გამანადგურებელი ომი. მშვიდობისმოყვარე ხალხები გმობენ ამ პოლიტიკას. ისინი ხედავენ, რომ არის სადავო საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის სხვა გზები. საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მოლაპარაკების შედეგები, ჯოუ ენ-ლაის განცხადება, რომ ჩინეთის მთავრობა მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებთან შორეულ აღმოსავლეთში დაძაბულობის შენელების მიზნით, აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციის შედეგები მოწმობენ, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობა მიღწეულ იქნას საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება, თუ შესაბამის მთავრობებს ექნებათ სურვილი მოლაპარაკებისა და შეთანხმებათა გზით გადაწყვიტონ საერთაშორისო საკითხები.

ამ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხალხთა აქტიურ ბრძოლას მშვიდობის დასაცავად.

ხალხთა ურყევ ნებას — დაიცვან მშვიდობის საქმე — გამოხატავს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ზრდა, მოძრაობისა, რომელიც ახლა აერთიანებს მრავალ ასეულ მილიონობით ადამიანს, ხალხთა საყოველთაო აღშფოთება ატომური ომის მომზადების პოლიტიკის გამო.

ახლა ყველა ქვეყანაში გაჩაღებულია ფართო კამპანია, რათა შეაგროვონ ხელმოწერა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ. ამ მიმართვას სავსებით დაუჭირა მხარი ყველა საბჭოთა ადამიანმა — მშვიდობის ერთგულმა და თანმიმდევრულმა დამცველებმა.

საბჭოთა ხალხი სავსებით უჭერს მხარს და იწონებს თავისი მთავრობის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, საყოველთაო უშიშროების დაცვა, ხალხთა კულტურული და ეკონომიური თანამშრომლობა.

მშვიდობის მომხრეთა V სრულიად საკავშირო კონფერენცია, გამოხატავს რა მთელი მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხის ნებას, ავალებს მშვიდობის მსოფლიო ასამბლეაზე წარგზავნილ დელეგატებს:

1. განუცხადონ მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის ყველა მონაწილეს, რომ საბჭოთა ხალხი მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის ყველა ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სადავო საკითხთა მშვიდობიანი გადაჭრისათვის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. საბჭოთა კავშირს, რომელსაც სწამს თავისი ძალები და ეყრდნობა თავის ხალხთა ურყევ ერთიანობას, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავიდან აიცილოს ახალი მსოფლიო ომი. ყველა ხალხი, ისევე როგორც წინათ, საბჭოთა კავშირის სახით ჰპოვებს მტკიცე ურყევ დასაყრდენს მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში.

2. დაადასტურონ, რომ საბჭოთა ადამიანები განუხრელად მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყდეს ყველა ქვეყანაში ატომური იარაღის წარმოება და მოისპოს მთელი მისი მარაგი, აგრეთვე უთუოდ აიკრძალოს როგორც ატომური, ისე მასობრივი მოსპობის ყველა სხვა სახეობის იარაღი, ამავე დროს დაწესდეს ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი ამ აკრძალვის განხორციელებისადმი. საბჭოთა ადამიანებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ატომური იარაღის აკრძალვის ერთ-ერთი პირველი რიგის ღონისძიების სახით შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა. საბჭოთა კავშირი, ითვალისწინებს რა საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებს, მზად არის გაუზიაროს სხვა ქვეყნებს თავისი გამოცდილება ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების კვლევის საქმეში. ატომის ენერგია მხოლოდ კაცობრიობის პროგრესსა და აყვავებას უნდა ემსახურებოდეს. საბჭოთა ადამიანები მტკიცედ აცხადებენ, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას და დაუყოვნებლივ გადაწყდეს ყველა სახეობის იარაღის საყოველთაო შემცირების საკითხი.

3. განაცხადონ, რომ საბჭოთა ხალხი მხარს უჭერს სახელმწიფოთა ურთიერთობის ხუთ პრინციპს, რომლებიც გამოაცხადეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრებმა და რომლებიც მოიწონა ბევრმა სხვა ქვეყანამ: ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა; თავდაუსხმელობა; ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა; მშვიდობიანი თანაარსებობა.

4. დაადასტურონ, რომ საბჭოთა ხალხს ისევე, როგორც ევროპის ყველა ხალხს, მშვიდობისათვის საფრთხედ მიაჩნია გერმანული მილიტარიზმის აღორძინება. იგი იბრძვის გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის და მხარს უჭერს კოლექტიური უშიშროების ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც დაიცავდა ევროპის ყველა სახელმწიფოს, დიდი და პატარა სახელმწიფოების მშვიდობასა და სუვერენიტეტს.

დიდი სიმპათია გამოუცხადონ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რომელთა ნება გამოიხატა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების შესახებ აზიის ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენციის გადაწყვეტილებებით.

6. განაცხადონ, რომ საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ დამყარდეს და ყოველი ღონისძიებით გაფართოვდეს ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ხალხთა შორის და მოისპოს ამ ურთიერთობის ყველა ხელოვნური დაბრკოლებები და შეზღუდვები, რომლებიც ნაკარნახევია ცივი ომის განგრძობით დაინტერესებული წრეების მიერ.

7. კონფერენცია ავალებს საბჭოთა დელეგატებს მჭიდრო კონტაქტი დაამყარონ და აქტიურად ითანამშრომლონ ასამბლეის ყველა მონაწილესთან, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებითა და განმტკიცებით, მიუხედავად მათი ეროვნებისა, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებისა, სოციალური მდგომარეობისა ან პარტიული კუთვნილებისა, რადგან ახალ დამანგრეველ ომს თავიდან აგვაცილებს ყველა იმათი ღონისძიებების გაერთიანება, ვისაც მშვიდობა სურს.

ჩვენ, მშვიდობის მომხრეთა V სრულიად საკავშირო კონფერენციის დელეგატები, ღრმა რწმენას გამოვთქვამთ, რომ მშვიდობის მსოფლიო ასამბლეა ჰელსინკში ხალხთა დიდი წვლილი იქნება მტკიცე მშვიდობისა და ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფის საქმეში.

ხალხებს შეუძლიათ ჩაშალონ და კიდევაც უნდა ჩაშალონ აგრესორთა გეგმები. ხალხებს საკმარისი ძალები მოეპოვებათ იმისათვის, რომ მიაღწიონ მშვიდობის საქმის გამარჯვებას.

# დეპუტატი ხალხის მსახური

მ. დ. ჩუბინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

საბჭოთა ხელისუფლებამ კაცობრიობის ისტორიაში პირველად არა მარტო მისცა მშრომელთა ფართო მასებს თავისუფლება და პოლიტიკური უფლებანი, არამედ კიდევაც უზრუნველყო მათი აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში.

მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც დიდმა ლენინმა, კომუნისტურმა პარტიამ შექმნეს, არის ნამდვილად დემოკრატიული, სახალხო სახელმწიფო, რომელშიც მთელი ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით.

ლაპარაკობდა რა საბჭოთა ხელისუფლების არსზე ვ. ი. ლენინი წერდა, რომ: „სწორედ ის მასები, რომლებსაც თვით ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებში, თუმცა ისინი კანონით თანასწორუფლებიანნი იყვნენ, ნამდვილად ათასგვარი ხრიკებითა და ხერხებით უსპობდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და დემოკრატიული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას, ახლა მუდმივ და უცილობელ, ამასთან გადამწყვეტ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს დემოკრატიულ მმართველობაში".

ძირითადი მიზანი და ამოცანა საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, არის მუდმივი ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის. მთელი მისი მოღვაწეობის მიზანია მძიმე მრეწველობის — ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის შემდგომი უპირატესი განვითარება, სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომი მძლავრი განვითარება საბჭოთა ხალხის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის.

კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა. თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში იგი ეყრდნობა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ცოდნას, მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითს აქტივობასა და ინიციატივას. იგი მუდამ განამტკიცებს კავშირს მასებთან. კომუნისტური პარტიის ძალაა მისი განუყრელი ერთიანობა ხალხთან, ხალხის ძალაა მისი დარაზმულობა პარტიის გარშემო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა, რაც ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა, ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული პარტიისა და მთავრობისადმი.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ყველა კანდიდატი, რომელთა რაოდენობა 29.891-ს უდრის, ერთსულოვნად აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში. ეს არის სხვადასხვა ეროვნების ყველაზე მოწინავე ადამიანთა მთელი არმია, რომლებიც სარგებლობენ ხალხის ნდობით, რომლებმაც დაიმსახურეს მაღალი პატივი — იყონ ხალხის არჩეულნი.

„უკვე დეპუტატთა რაოდენობა, — ამბობდა მ. ი. კალინინი, — რომლებიც ყველგან არიან მთელ საბჭოთა კავშირში მოსკოვიდან ყველაზე მიყრუებულ კუთხეებამდე, ცხადყოფს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას დეპუტატების მეშვეობით შეუძლია განახორციელოს და კიდევაც ახორციელებს ნამდვილად დიდ ღონისძიებებს, რადგან ეს აქტივი, არსებითად რომ ვილაპარაკოთ, მოიცავს ჩვენი ქვეყნის მთელ მოსახლეობას... მოსახლეობას, რომელმაც დეპუტატები აირჩია, მათთან აქვს უშუალო კავშირი. ეს კავშირი უწყვეტ ჯაჭვად გადის ქვემოდან ზევით და საბჭოთა ხელისუფლებას ხდის თავის მშობლიურ ხელისუფლებად".

ჩვენს ქვეყანაში საბჭოს დეპუტატები საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობენ. თავისი არჩეული ხალხს მიაჩნია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის აქტიურ განმახორციელებლად. კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც პარლამენტების დეპუტატები სრულიად დამოუკიდებელი არიან მათი ამომრჩევლებისაგან და თავიანთი საქმიანობის ანგარიშს არ აბარებენ მათ, ჩვენს ქვეყანაში დეპუტატი ხალხის მსახურია. იგი ემსახურება მხოლოდ ხალხის ინტერესებს და სავსებით დამოკიდებულია თავის ამომრჩევლებზე.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ამომრჩევლებს აძლევს სრულ შესაძლებლობას კონტროლი გაუწიონ დეპუტატების მოღვაწეობას, აგრეთვე ვადამდე გაიწვიონ დეპუტატი, რომელმაც არ გაამართლა ხალხის ნდობა, რომელმაც დაივიწყა, რომ დამოკიდებულია ამომრჩევლებზე.

„დეპუტატმა უნდა იცოდეს, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — რომ იგი არის ხალხის მსახური... და იგი უნდა გაჰყვეს იმ ხაზს, რომელზედაც მას მიცემული აქვს განაწესი ხალხის მიერ. თუ გზას გადაუხვია, ამომრჩევლებს უფლება აქვთ მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა და მათ უფლება აქვთ ის დეპუტატი, რომელმაც გზას გადაუხვია, ყორანივით გააშავონ".

საბჭოთა დეპუტატს უნარი უნდა ჰქონდეს ყური დაუგდოს მასების ხმას, გამოეხმაუროს კრიტიკას ქვემოდან, გულისხმიერად მოეპყროს ამომრჩეველთა საჭიროებას, წინადადებებს ან მოთხოვნებს, დროზე გამოეხმაუროს მათ, განახორციელოს თავის ამომრჩეველთა ყველა განაწესი. იგი მოვალეა ყოველდღიურად შეივსოს ცოდნა, გამოიჩინოს სახელმწიფოებრივი მიდგომა ყოველი საკითხის გადაჭრისას.

საბჭოების ბევრი დეპუტატი არჩეულია პირველად. ეს გარემოება აღმასკომებს აკისრებს მნიშვნელოვან ამოცანას — ქმედითი დახმარება გაუწიონ დეპუტატებს მათს ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ინსტრუქტაჟი უნდა გაუწიონ დეპუტატებს, განუმარტონ მათი უფლებანი და მოვალეობანი, განაზოგადონ მათი მუშაობის გამოცდილება, ხელი შეუწყონ ამომრჩევლებთან დეპუტატების კავშირის განმტკიცებას, დაეხმარონ საარჩევნო ოლქებში მათი მრავალფეროვანი მოღვაწეობის მოწყობაში.

დეპუტატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა მათი მონაწილეობა საბჭოების სესიებისა და მათი მუდმივი კომისიების მუშაობაში. ეს მათ აძლევს შესაძლებლობას კონტროლი გაუწიონ საბჭოების განმკარგულებელი და აღმასრულებელი ორგანოების მუშაობას, მოახდინონ მათზე საჭირო გავლენა. ყოველივე ეს დეპუტატს შეუძლია განახორციელოს სესიებზე რეგულარულად დასწრებით.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში უდიდეს როლს ასრულებენ საბჭოებთან შექმნილი მუდმივი კომისიები, რომელთა რაოდენობა ჩვენს რესპუბლიკაში 4.500-ს აღემატება. ეს კომისიები, რომლებშიც გაერთიანებულია 22 ათასზე მეტი დეპუტატი, უდიდესი ძალაა. მათ უნდა აწარმოონ დიდი და ნაყოფიერი მუშაობა. როგორც საბჭოების ორგანოებმა, მუდმივმა კომისიებმა უნდა შეასრულონ მათი ცალკე დავალებანი, ხელი შეუწყონ საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებას, სისტემატურად შეისწავლონ ცალკეული საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, სასწავლებელთა, სამედიცინო დაწესებულებათა, კლუბების, ბიბლიოთეკების საქმიანობა და საბჭოებსა და მათს აღმასრულებელ კომიტეტებში შეიტანონ წინადადებანი, რომელთა მიზანია საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და სხვ. მუშაობის გაუმჯობესება. მუდმივი კომისიების ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა მონაწილეობა სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შემუშავებაში, საბჭოების მიერ კონტროლი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობაში. ყოველივე ამან ხელი უნდა შეუწყოს პარტიისა და მთავრობის ყველა გადაწყვეტილების განხორციელებას.

საბჭოების მუშაობაში მიღწევები და წარმატებები ბევრად დამოკიდებულია მუდმივი კომისიების აქტიურ მუშაობაზე. საბჭოს თითქმის არც ერთი ღონისძიება არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ მონაწილეობა არ მიიღონ მუდმივმა კომისიებმა და მათმა მრავალრიცხოვანმა აქტივმა.

მუდმივი კომისიები, რომლებიც სახელმწიფოს მართვაში ამომრჩეველთა ფართო მასების ჩაბმის ფორმას წარმოადგენენ, უნდა იყვნენ იმ საარსებო საქმეების ინიციატორები, რომელთა მიზანია ჩვენი ქალაქებისა და სოფლების მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარება, მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

დეპუტატის უპირველესი მოვალეობაა მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ მუდმივ კომისიაში, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სამეურნეო და საზოგადოებრივ მუშაობაში საბჭოს ტერიტორიაზე, შეამჩნიოს და გამოასწოროს ნაკლოვანებანი და ხარვეზები. თუ მათი გამოსწორება თვით დეპუტატს არ ძალუძს, მან უნდა დააყენოს საკითხი შესაბამისი მუდმივი კომისიების, აღმასკომის, საბჭოს წინაშე და მიაღწიოს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

მაგალითად: დეპუტატი მივიდა საკოლმეურნეო ფერმაში, აღმოაჩინა იქ უწესრიგობა, ან კიდევ, ვთქვათ, გამოარკვია, რომ სკოლის, საწარმოს, საბჭოთა მეურნეობის დირექციის უყაირათობის შედეგად მოუვლელია სკოლის ეზო, სკოლის შენობა, ან კიდევ ქარხნის ან საბჭოთა მეურნეობის მუშების საერთო საცხოვრებელი ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. რა უნდა ქნას დეპუტატმა? იგი მოვალეა დაუყოვნებლივ, აღმასკომის მეშვეობით, მიაღწიოს შენიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

ხოლო ასეთი ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს გვიშლიან მუშაობაში, სამწუხაროდ, იშვიათი როდია.

უდიდესი მუშაობა უნდა გასწიონ ადგილობრივმა საბჭოებმა და აღმასკომებმა, აგრეთვე მუდმივმა კომისიებმა და დეპუტატებმა იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით დასახულია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

დეპუტატების მოვალეობაა დაეხმარონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებს, რომ მათ გამოავლინონ გამოუყენებელი რეზერვები, ყოველი ღონისძიებით განავითარონ ისეთი ძვირფასი კულტურა, როგორიც არის სიმინდი, გაადიდონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, დროზე და უდანაკარგოდ მოაწყონ მოსავლის აღება. დეპუტატები აქტიურად უნდა უწყობდნენ ხელს ნოვატორთა, უხვი მოსავლის ოსტატთა, მეცხოველეობის მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას, მოწინავე აგროტექნიკის ფართოდ დანერგვას ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

დეპუტატებს შეუძლიათ დიდი წვლილი შეიტანონ მეცხოველეობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგების აღმავლობაში, როგორიც არის მეღორეობა, მეფრინველეობა, რომლებიც რესპუბლიკაში სუსტად არის განვითარებული. მათ უნდა გამოიჩინონ ინიციატივა, შეისწავლონ არსებული შესაძლებლობანი და საბჭოებისა და მათი აღმასკომების მეშვეობით მიაღწიონ ისეთ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც ხელს უწყობენ მეცხოველეობის ამ დარგების განვითარებას.

დეპუტატი ხალხის რჩეულია. იგი მოვალეა შეასრულოს ამომრჩეველთა განაწესი და ანგარიში ჩააბაროს მათ თავისი მოღვაწეობის შესახებ. ანგარიშები უნდა მოეწყოს რეგულარულად, ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ დეპუტატი ანგარიშს აბარებს არა მარტო თავისი მოღვაწეობის შესახებ, არამედ აგრეთვე მთლიანად საბჭოს მუშაობის შესახებ.

კრებებზე დეპუტატთა ანგარიშების გამო ამომრჩევლები გამოთქვამენ ბევრ ძვირფას კრიტიკულ შენიშვნასა და წინადადებას. ეს შენიშვნები და წინადადებები მეტწილად შეეხება დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, მაღაზიების, სკოლების, კინოთეატრების, სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის საკითხებს და სხვ.

წინადადებები, რომლებიც ამომრჩევლებს შემოაქვთ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა ანგარიშების გამო, უნდა განაზოგადონ და განახორციელონ აღმასკომებმა.

დეპუტატების [illegible] მაგალითად შეიძლება გამოდგეს სიღნაღის რაიონული საბჭოს დეპუტატების ამხ. მირიანაშვილის, კოჭლამაზაშვილის, მაზიაშვილისა და სხვების მოღვაწეობა, რომლებმაც, ახორციელებდნენ რა ამომრჩეველთა განაწესს, მიაღწიეს გზის კეთილმოწყობას, აბანოს აგებას, სოფლების რადიოფიკაციასა და ელექტროფიკაციას. ანალოგიურ მუშაობას ეწეოდნენ ზესტაფონის რაიონული საბჭოს დეპუტატები ამხ. ყანჩაველი, ბრეგვაძე, კვანტრიშვილი, ქველაძე და სხვები, აგრეთვე ხაშურის, საჩხერისა და მთელი რიგი სხვა რაიონული საბჭოების დეპუტატები. მაგრამ მთლიანად რესპუბლიკაში ეს მუშაობა ჯეროვნად არ წარმოებდა.

1954 წლის განმავლობაში ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა დეპუტატთა მხოლოდ 30,4 პროცენტმა.

ადგილობრივი საბჭოები ქმედითს დახმარებას უნდა უწევდნენ დეპუტატებს, რომ მათ ანგარიში ჩააბარონ ამომრჩევლებს. ისინი უნდა ისმენდნენ თავიანთ სესიებზე საკითხებს ამომრჩეველთა წინაშე დეპუტატების ანგარიშების მოწყობის შესახებ, ადგენდნენ მათთვის ცნობებს ფაქტიური მასალებით საბჭოს მუშაობის შესახებ, აწყობდნენ დეპუტატებთან საუბრებსა და თათბირებს, შეარჩევდნენ შენობებს საანგარიშო კრებებისათვის და აცნობებდნენ კრებების შესახებ ამომრჩევლებს, გზავნიდნენ საანგარიშო კრებებზე თავიანთ წარმომადგენლებს, რათა მათ პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ კრებების მოწყობაში.

ამომრჩევლებთან დეპუტატის ურთიერთობის სხვა ფორმას წარმოადგენს დეპუტატის მიმოწერა. ჩვენი ხალხის აქტივობა სახელმწიფოს მართვაში თავს იჩენს აგრეთვე იმით, რომ ხალხი ათასობით წერილს უგზავნის დეპუტატებს. თავიანთ წერილებში მშრომელნი უზიარებენ დეპუტატს სანუკვარ ფიქრებს, აზრებს, წინადადებებს, აძლევენ რჩევას. ამ წერილებში აყენებენ საკითხებს, რომელთა მიზანია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების გადიდება საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, პროპაგანდას უწევენ წარმოების ნოვატორთა გამოცდილებას, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს სხვადასხვა ორგანიზაციის მუშაობაში, ბოლოს, წერილებში ამომრჩეველნი მიმართავენ პირადი საჩივრითა და თხოვნით. დეპუტატის მოვალეობაა გულისხმიერად და ყურადღებით მოეპყროს ყველა თხოვნას, საჩივარს, წინადადებას, რომლებითაც მას მიმართავენ ამომრჩევლები. საჭიროა სწრაფად გამოეხმაუროს ამომრჩეველთა ყველა თხოვნასა და წინადადებას, აცნობოს მათ, რა ღონისძიებანი მიიღო. საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ ყოველი წერილის უკან დგას ცოცხალი ადამიანი.

იმ საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, რომლებსაც დეპუტატი მიმართავს ან უგზავნის რეაგირებისათვის მშრომელთა წერილებს, აგრეთვე ოპერატიულად უნდა მიიღონ საჭირო ღონისძიებანი და აცნობონ მათ შესახებ როგორც ამომრჩეველს, ისე დეპუტატს.

მთელი თავისი მოღვაწეობით დეპუტატი მხარს უნდა უჭერდეს მშრომელთა ინიციატივას—უფრო ფართოდ აბამდეს მათ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. თავისი შრომით, თავისი საქმიანობით იგი უნდა უჩვენებდეს ხალხისადმი, სამშობლოსადმი სამსახურის მაგალითს.

საჭიროა მუდამ გვახსოვდეს სიტყვები ი. ბ. სტალინისა, რომელიც, ახასიათებდა რა დეპუტატის როლსა და ამოცანებს ჩვენს ქვეყანაში, ამბობდა, რომ „ამომრჩევლებმა, ხალხმა თავის დეპუტატებს უნდა მოსთხოვონ, რომ ისინი დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, რომ ისინი თავის მუშაობაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი დარჩნენ ლენინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, როგორც ლენინი..."

საბჭოთა ხალხმა დიდი ნდობა გამოუჩინა თავის წარმომადგენლებს, როცა ისინი აირჩია დეპუტატებად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. იმაზე, თუ როგორ გაამართლებენ დეპუტატები ამ ნდობას, ამომრჩევლები იმსჯელებენ, უწინარეს ყოვლისა, მათი პრაქტიკული მუშაობის, მათი კონკრეტული საქმეების მიხედვით.

# „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის"

## საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა პროფესორ ანდრე ბონარს

ვენა, 12 მაისი. (საკდესი). გუშინ ვენაში აუერშპერგის სასახლეში „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემია ზეიმით გადაეცა ლოზანის უნივერსიტეტის პროფესორს, შვეიცარიის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის თავმჯდომარეს ანდრე ბონარს.

აუერშპერგის სასახლის დარბაზში, სადაც პრემიის გადაცემა მოხდა, იყო ოთხასამდე კაცი, მათ შორის მშვიდობისათვის ცნობილი მებრძოლები — მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი ჟან ლაფიტი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მდივანი იზაბელა ბლუმი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი იკუო ოიამა (იაპონია), შვეიცარიის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის წარმომადგენელი დიუბუა, ჟენევის მელითონეთა პროფკავშირის ხელმძღვანელი და შვეიცარიის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის წევრი მანიე, საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვენის უნივერსიტეტის პროფესორები იოზეფ გრეგორი და რობერტ შტრებინგერი, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი ჰენრიხ ბრანდვაინერი, ავსტრიის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბევრი წარმომადგენელი, ავსტრიელი და უცხოელი ჟურნალისტები.

დამსწრეთა ტაშის გრიალში „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის წევრმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა კინორეჟისორმა გ. ვ. ალექსანდროვმა პროფესორ ბონარს გადასცა ოქროს მედალი და დიპლომი.

ლაურეატს გულთბილად მიესალმნენ შვეიცარიის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის წევრი მანიე, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი მწერალი ჟან ლაფიტი, ვენის უნივერსიტეტის პროფესორი გრეგორი და სხვები.

უპასუხა რა მისალმებაზე, ანდრე ბონარმა თქვა: ჩემი, ლიტერატურის უბრალო პროფესორის, ცხოვრება მთავრდება ამ უმაგალითო პატივით — მშვიდობის სტალინური პრემიის მონიჭებით. მაგრამ არა, იგი როდი მთავრდება: საჭიროა უფრო მეტი გავაკეთო, რომ გავამართლო ეს ჯილდო.

სულით და გულით ვუძღვნი მადლობას ყველას, განაგრძო პროფესორმა ბონარმა, ვინც ამ პატივის ღირსი გამხადა. მადლობას ვუძღვნი იმათ, ვინც ეს დღესასწაული მოამზადა.

მან დასძინა, რომ მშვიდობის სტალინური პრემიის მინიჭება მას უნერგავს იმის უფრო მტკიცე რწმენას, რომ შეძლებს დახმარება გაუწიოს თავის ხალხს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

# ავსტრია-რუმინეთის შეთანხმება

ბუქარესტი, 12 მაისი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, გუშინ ბუქარესტში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ და ავსტრიის მთავრობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას დუნაიზე ნავიგაციის ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

# კ ო მ უ ნ ი კ ე

## ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხთა ევროპის სახელმწიფოების ვარშავის თათბირის 13 მაისის სხდომის შესახებ

13 მაისს გაიმართა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის სახელმწიფოების ვარშავის თათბირის მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი.

სხდომაზე მუხლობრივად განიხილეს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება.

თათბირზე წარმოდგენილ სახელმწიფოთა ყველა დელეგაციამ განაცხადა, რომ ეთანხმება აღნიშნული ხელშეკრულების ტექსტს.

შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ 14 მაისს დილის 10 საათზე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შენობაში.

თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შექმნის შესახებ.

---

# მშვიდობის მომხრეთა მეხუთე სრულიად საკავშირო კონფერენცია

საბჭოთა კავშირის მშრომელთა და უცხო ქვეყნების ხალხთა მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა მშვიდობის მომხრეთა მეხუთე სრულიად საკავშირო კონფერენციის 11 მაისის საღამოს სხდომა. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მოვიდნენ მონაწილენი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს 27-ე სესიისა, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს. დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ სტუმრების მოსვლას. პრეზიდიუმში ადგილები დაიკავეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლუი საიანმა და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარეებმა. დელეგატები აგრეთვე მხურვალედ მიესალმნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრს ცნობილ ისლანდიელ მწერალს ჰალდორ ლაქსნესს.

თავმჯდომარე ამხ. ხოჯაევი — უზბეკეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე — სიტყვას აძლევს ლუი საიანს, რომელიც დიდ სიხარულს გამოთქვამს იმის გამო, რომ შეუძლია მშვიდობის მომხრეთა მეხუთე სრულიად საკავშირო კონფერენციის მონაწილეებს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სახელით გადასცეს ძმური სალამი.

სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გაგარინმა განაცხადა, რომ კონფერენციას ესწრება 1.019 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოსახლე 48 ეროვნებას. დელეგატთა თითქმის ნახევარი ქალები არიან, დელეგატთა შორის ბევრია ახალგაზრდა.

დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ციმბირელი მეშახტის — ვოროშილოვის სახელობის შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირის ამხ. კარინის და ლიტველი პოეტის მეჟელაიტისის მგზნებარე, ამაღელვებელი სიტყვები.

კონფერენციაზე გამოვიდნენ სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარე ლიუ ჩენშენი, საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი ალენ ლე ლეაპი, ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაციის თავმჯდომარე ლომბარდო ტოლედანო, რომლებსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. ისინი კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ თავიანთი ქვეყნების ხალხთა სახელით, ილაპარაკეს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის უდიდეს მნიშვნელობაზე. ეს მოძრაობა მძლავრ დაბრკოლებად დგას ახალი ომის გზაზე, ომისა, რომელსაც ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ამზადებენ.

შემდეგ შემოვიდა წინადადება კონფერენციის მონაწილეთა სახელით განაწესი მიეცეს საბჭოთა დელეგატებს, რომლებსაც აირჩევენ მშვიდობის მსოფლიო ასამბლეისათვის. ამ მიზნით არჩეულ იქნა განაწესის პროექტის შემდგენელი კომისია.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ნიჟნი ტაგილის ქარხნის მსხმელი ოსტატი კუკლინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ოსტროვიტიანოვი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ივანოვა (კალინინგრადის ოლქი), არქიტექტორი რუდნევი, ვეტერინარი ექიმი უტეხინი (ულიანოვსკის ოლქი), სპორტის დამსახურებული ოსტატი ბოლოტოვა, უზბეკი მწერალი კახარი, მასწავლებელი გრიგორიევი (კრასნოიარსკის მხარე), ევანგელისტ ქრისტიან-ბაპტისტთა სრულიად საკავშირო საბჭოს გენერალური მდივანი კარევი, კინოოპერატორი კარმენი. ისინი, როგორც ყველა ორატორი, ლაპარაკობდნენ საბჭოთა ადამიანების მისწრაფებაზე — ყველაფერი გააკეთონ თავიანთი სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისა და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის უზრუნველყოფისათვის.

12 მაისის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ა. ე. კორნეიჩუკის მოხსენების გამო „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და ხალხთა ბრძოლა მშვიდობის დასაცავად“. გამოვიდნენ მაგნიტოგორსკის კომბინატის ძებრძმედე შატილინი, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების აღმასკომის თავმჯდომარე პროფესორი მიტერევი, კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარე პასენკო (მოლდავეთის სსრ), ნოვოროსიისკის ქარხანა „პროლეტარის“ მბრუნავი ღუმელების მემანქანე მედვედევი, წარჩინებული მემანქანე ამხ. ბლაგონოვი, ყირგიზეთის მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ჯამგირჩინოვი, მექანიზატორი კომპანიეცი ალტაის მხარიდან, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი კოტოვი, ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი სატპაევი, უფის ელექტროტექნიკური ქარხნის მუშა ამხ. გალეევა, თურქმენი სტუდენტი ყულიევა, კაუნასის არქიეპარქიისა და კაიშიადორსის და ვილკავიშის ეპარქიების მმართველი სტანკიავიჩუსი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი უტესოვი, ამურის ოლქის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ჩეპუროვი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი კაჩალოვა, ოსი მწერალი ეფხიევი, ბრიანსკის ოლქის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იუკინი და სხვები.

კონფერენციის მონაწილენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრს ალფრედო ვარელას — არგენტინელ მწერალს, რომელიც გამოვიდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაციის სახელით, და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წარმომადგენელს ერვინ ეკერტს, რომელმაც კონფერენციას გადასცა დასავლეთ გერმანიის მშვიდობისათვის მებრძოლი ქალებისა და მამაკაცების სალამი.

12 მაისის საღამოს სხდომაზე კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს ჰელსინკის მშვიდობის მსოფლიო ასამბლეაზე გასაგზავნი საბჭოთა დელეგაციის არჩევის საკითხი. დელეგაციის შემადგენლობაში არჩეულია 37 კაცი.

კონფერენციამ ერთსულოვნად დაამტკიცა მშვიდობის მსოფლიო ასამბლეაზე გასაგზავნი დელეგაციის განაწესი.

არჩეულ იქნა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

საღამოს სხდომის თავმჯდომარემ ამხ. სურკოვმა მშვიდობის მომხრეთა მეხუთე სრულიად საკავშირო კონფერენცია დახურულად გამოაცხადა. (საქდესი).

---

# საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პლენუმი

13 მაისს გაიმართა პლენუმი საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტისა, რომელიც არჩეულ იქნა მშვიდობის მომხრეთა V სრულიად საკავშირო კონფერენციაზე.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ნ. ს. ტიხონოვი, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებად — ამხ. ი. გ. ერენბურგი, ზ. ა. ლებედევა, კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად — ამხ. მ. ი. კოტოვი.

კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩეული არიან აგრეთვე ამხ. ვ. გ. ბლაგონოვი, ი. ე. გლუშჩენკო, ა. ე. კორნეიჩუკი, ა. ნ. ნესმეიანოვი, მ. ვ. ნესტეროვი, ნ. ვ. პოპოვა, ს. კ. რომანოვსკი, ა. ა. სურკოვი, ა. ა. ფადეევი. (საქდესი).

---

# ევროპის სახელმწიფოთა ვარშავის თათბირი ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ

ვარშავა, 12 მაისი. (საქდესის სპეც. კორ.). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 11 მაისს თათბირის დღის სხდომაზე განცხადება გააკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარემ პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა. დასავლეთ გერმანიაში, თქვა მან, ამერიკელმა და გერმანელმა მილიტარისტებმა მრავალი მანევრის დახმარებით მოახერხეს ბონის ბუნდესტაგისათვის მიეღებინებინათ პარიზის შეთანხმებანი. ეს არის ახალი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა გერმანიის გათიშვის გაღრმავებისა და ამერიკის და გერმანიის მილიტარიზმის სამხედრო ბაზად და პლაცდარმად დასავლეთ გერმანიის გადაქცევისათვის. ამით გერმანელმა მილიტარისტებმა გერმანიის ნაწილი მიჰყიდეს უცხოელ ინტერვენტებს 50 წლით და იგი ამერიკის იმპერიალიზმის პროტექტორატად გადააქციეს.

პოლიტიკურმა განვითარებამ გერმანიასა და ევროპაში მოსკოვის 1954 წლის 29 ნოემბერ—2 დეკემბრის თათბირის შემდეგ სავსებით დაადასტურა ამ თათბირის მიერ მდგომარეობის შეფასებისა და მის გადაწყვეტილებათა სისწორე. მას შემდეგ, რაც ამ დროის განმავლობაში საბჭოთა კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებმა მოაწყეს კონსულტაცია მოსკოვის თათბირის მონაწილე რვა სახელმწიფოს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების შესახებ, ცხადი გახდა, რომ საჭიროა გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები, რომელთა მიზანია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება.

პრემიერ-მინისტრ ამხანაგ შიროკის წინადადებათა საფუძველზე, რომლებიც შეტანილი იყო მოსკოვის თათბირზე, სამმა სახელმწიფომ — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამ და გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, — რომლებსაც უწინარეს ყოვლისა საფრთხეს უქმნის დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმი, ერთმანეთს შორის განიხილა საკითხები, რომლებიც გამომდინარეობენ მათი განსაკუთრებული პოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობიდან და ერთად გადადგა თავისი მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების ნაბიჯები.

დაახასიათა რა მდგომარეობა პარიზის შეთანხმებათა ძალაში შესვლის შემდეგ, გროტევოლმა ცხადყო ბონის მთავრობის იმ მტკიცებათა სიყალბე, რომ ფედერალურ რესპუბლიკას პარიზის შეთანხმებათა ძალაში შესვლის შემდეგ თითქოს აქვს სუვერენიტეტი და შეუძლია თვითონ გადაჭრას თავისი საშინაო და საგარეო საქმეები.

ბონის რესპუბლიკის „სუვერენიტეტი“ არის „უფლება“ შეიარაღდეს და შეყვანილ იქნას ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ბატონობის მოპოვების ამერიკის გეგმების განხორციელების ინსტრუმენტს.

დასავლეთი გერმანია ამით დაკავშირებულია ცალმხრივ სამხედრო ბლოკთან, რომლის აგრესიულ მისწრაფებებს ადასტურებენ მისი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელების არაორჭოფული განცხადებები, მისი პოლიტიკა და პრაქტიკა. „დასავლეთ ევროპის კავშირს“ წარმართავენ ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე აგრესიული იმპერიალისტური წრეები, რომლებიც აშკარად აცხადებენ მსოფლიო ბატონობის თავიანთ პრეტენზიებს და მზად არიან საბედისწერო ავანტიურაში ჩაითრიონ დასავლეთი გერმანია.

აღნიშნა რა, რომ ბონის ბუნდესტაგის შემადგენლობა არ შეეფერება დასავლეთ გერმანიის ხალხისა და ამომრჩეველთა ნებას და რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია მოხდა გერმანელი ხალხის უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ და ამიტომ მთელ ამ გადაწყვეტილებებს კანონიერი ძალა არა აქვთ, გროტევოლმა განაცხადა:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და ყველა გერმანელი პატრიოტი არასოდეს არ ცნობენ პარიზის შეთანხმებებს. ისინი გერმანელი ხალხის მასებს დარაზმავენ საბრძოლველად პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ, გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის, ისინი ბრძოლას განაგრძობენ მანამდე, სანამ პარიზის შეთანხმებები არ მოისპობა და გერმანია ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული სახელმწიფო არ გახდება.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მუშებმა და გლეხებმა, ტექნიკოსებმა და მეცნიერებმა შექმნეს ნამდვილად დემოკრატიული წყობილება, მოიპოვეს მნიშვნელოვანი წარმატებანი სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის საქმეში და შექმნეს უდიდესი ფასეულობანი. ეს მოსვენებას არ აძლევს დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტებს. მათ სურთ ეს სიმდიდრე წაართვან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს და აღადგინონ იუნკერებისა და კაპიტალისტების ძველი საზოგადოებრივი წყობილება.

საბჭოთა კავშირის მრავალ კონკრეტულ წინადადებას ჯერ კიდევ 1955 წელს მთელ გერმანიაში თავისუფალი არჩევნების ჩატარებისა და ჩვენი სამშობლოს გაერთიანების შესახებ ადენაუერის მთავრობა პირდაპირ მალავს. ბონის მთავრობის კოალიციამ, ცდილობდა რა მოეტყუებინა გერმანელი ხალხი და მსოფლიო საზოგადოებრიობა, ბუნდესტაგს წარუდგინა რეზოლუცია, რომელშიც ამტკიცებს, რომ გერმანიის მშვიდობიანი გზით გაერთიანება თითქოს ფედერალური რესპუბლიკის უმაღლესი კანონია. ბუნდესტაგი და ბუნდესრატი ფიქრობენ, რომ ასეთი რეზოლუციებით მათ შეუძლიათ თავი გაიმართლონ გერმანელი ხალხის წინაშე.

მას შემდეგ, რაც დასავლეთ გერმანიაში დაიწყო პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება ახალი ვერმახტის შესაქმნელად, ბონის მთავრობა ცდილობს მიიღოს ევროპის ზოგიერთი ქვეყნის თანხმობა დასავლეთ გერმანიის შეიარაღებაზე, შეცდომაში შეიყვანოს გერმანელი ხალხი და მეზობელი ქვეყნების ხალხები განცხადებით, რომ პარიზის შეთანხმებანი თითქოს უზრუნველყოფენ ევროპის ქვეყნების უშიშროებას, რადგან ისინი ზღუდავენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას და გამორიცხავენ დასავლეთ გერმანიის არმიის მხრივ აგრესიის შესაძლებლობას. მაგრამ საქმე სწორედ პირიქით ხდება. დასავლეთ გერმანიას, როგორც „დასავლეთ ევროპის კავშირის“ წევრს, პარიზის შეთანხმებათა „ნომერ 2 ოქმის“ მე-3 მუხლის თანახმად, შესაძლებლობა აქვს განუწყვეტლივ ზარდოს თავისი არმიების რაოდენობა.

ბონელი მილიტარისტები უკვე ახლა აშკარად განიხილავენ ამ შეთანხმებებით გათვალისწინებული ნახევარმილიონიანი არმიის შექმნას მხოლოდ როგორც დასავლეთ გერმანიის შემდგომი რემილიტარიზაციის პირველ ეტაპს. უკვე ახლა, პირველ ეტაპზე, არმიის დაგეგმილი რაოდენობა — 12 დივიზია მნიშვნელოვნად უნდა იქნას გადამეტებული.

იმისათვის, რომ შეანელოს გერმანელი ხალხის წინააღმდეგობა პარიზის შეთანხმებათა განხორციელებისადმი, ადენაუერი უკანასკნელ დროს გამალებით ეწევა სპეკულაციას საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შესახებ მოთხოვნებით, რომლებიც პოპულარულია გერმანელ ხალხში, ამასთან თავს ამ მოთხოვნათა მომხრედ ასაღებს. მაგრამ ის ფაქტი, რომ ბონის მთავრობამ უარი თქვა განეხილა საკითხი ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ, რომელიც საბჭოთა მთავრობამ დასახა და რომელსაც გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მხარი დაუჭირა, სრულიად საწინააღმდეგოს მოწმობს.

ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულების დადება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ევროპის ყველა ქვეყანა, დამოუკიდებლად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, უზრუნველყოფდა ევროპის უშიშროებას და შეანელებდა საერთაშორისო დაძაბულობას.

გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ნების არაერთგზის გამოცხადებით უარყო ბონელი მილიტარისტების ანტიხალხური პოლიტიკა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 12 მილიონ 230 ათასმა მოქალაქემ 1954 წლის ივნისში ხმა მისცა საზავო ხელშეკრულების დადების, საოკუპაციო ჯარების გაყვანის სასარგებლოდ, სამხედრო შეთანხმებებისა და 50 წლით საოკუპაციო ჯარების დატოვების წინააღმდეგ.

შემდეგ ოტო გროტევოლმა მოიყვანა ფაქტები, რომლებიც იმას მოწმობენ, რომ დასავლეთ გერმანიის ხალხის მასებმა შეიგნეს ამ მდგომარეობის საშიშროება და გამოდიან პასიური მდგომარეობიდან.

ავსტრიის მაგალითი, განაგრძო მან, გვიჩვენებს გერმანიის საკითხის გადაჭრის რეალურ გზას. საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მოლაპარაკების დადებითი შედეგები იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ავსტრიის მთავრობა დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკის გზას დაადგა. ავსტრიამ ვალდებულება იკისრა არ შევიდეს რაიმე სამხედრო კავშირში და არ დაუშვას სამხედრო ბაზები თავის ტერიტორიაზე. ამის მეოხებით ავსტრიელი ხალხი მიიღებს თავის ეროვნულ დამოუკიდებლობას.

გერმანიის საკითხის გადაჭრა ახლა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე, შეძლებენ თუ ვერა დასავლეთ გერმანიის პატრიოტული ძალები განახორციელონ ნამდვილად დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკა, დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების პოლიტიკა, მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და შეთანხმებათა პოლიტიკა. ამისათვის საჭიროა, რომ გერმანელმა ხალხმა აღკვეთოს პარიზის შეთანხმებანი და რომ გერმანელები შეთანხმდნენ ურთიერთშორის ყველა საკითხზე, რომლებიც აბრკოლებენ გერმანიის პრობლემის გადაჭრას.

ადენაუერის უარი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მოლაპარაკებაზე წინდაუხედაობაა. მაგრამ ადენაუერი მარად არ იარსებებს, მარად იარსებებენ გერმანია და გერმანელები, რომელნიც მოუსხდებიან ერთ მაგიდას, მიაღწევენ ურთიერთგაგებას, დახევენ სამხედრო პაქტებს, ხელს გაუწვდიან ერთმანეთს და შექმნიან ერთიან მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიულ გერმანიას.

გროტევოლმა აღნიშნა, რომ ბონელი მილიტარისტები ძალიან ჩქარობენ და უკვე შეუდგნენ შეიარაღებას. მდგომარეობა, რომელიც ევროპაში შეიქმნა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შედეგად, მოითხოვს, რომ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა გააერთიანონ ღონისძიებანი თავიანთი უშიშროების უზრუნველსაყოფად.

ამიტომ, განაცხადა გროტევოლმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა იწონებს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადებას, აგრეთვე გაერთიანებული სარდლობის შექმნას. ეს ღონისძიებანი ძირეულად განსხვავდება „დასავლეთ ევროპის კავშირის“ მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკისაგან, კავშირისა, რომელიც შეიქმნა ახალი აგრესიის მოსამზადებლად. ეს ღონისძიებანი გვაძლევენ თანასწორუფლებიან და სუვერენულ სახელმწიფოთა სრულიად ახალი თანამშრომლობის მაგალითს, სახელმწიფოებისა, რომელთა მიზანია მშვიდობის უზრუნველყოფა და მათი ქვეყნის თავდაცვის მოწყობა. ეს ღონისძიებანი ხელს უწყობენ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას. ვარშავის ხელშეკრულება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის გზაზე. იგი სავსებით შეესაბამება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მთელი გერმანელი ხალხის სახელმწიფო ინტერესებს. ამიერიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროებას უზრუნველყოფს შვიდი სახელმწიფო მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის მეთაურობით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების ყოველგვარ ხელყოფას აღკვეთს მშვიდობისა და დემოკრატიის მთელი ბანაკი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, თავის მხრივ, ყოველ ღონეს იხმარს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს ამ თათბირის მონაწილე რვა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საქმეში და არ დაუშვას, რომ გამეორდეს აგრესია დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის მხრივ. ვარშავის ხელშეკრულება საჭირო გახდა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციასთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს პარიზის შეთანხმებათაგან. ამიტომ იგი საჭიროა არა მარტო ევროპისათვის, არამედ ამავე დროს გერმანელი ხალხის შემდგომი არსებობის უზრუნველყოფისათვისაც.

პარიზის შეთანხმებანი შეიცავენ იმის საფრთხეს, რომ ომის დასავლეთგერმანელი და ამერიკელი გამჩაღებლები აგრესიას დაიწყებენ გერმანიის ტერიტორიაზე. ვარშავის ხელშეკრულება ალაგმავს აგრესორებს და შეძლებს შეაკავოს მათი ავანტიურა. პარიზის შეთანხმებათა მიზანია ახალი ომის მომზადება. ვარშავის ხელშეკრულება კი უშიშროებისა და მშვიდობის საქმეს ემსახურება. პარიზის შეთანხმებანი გერმანიის გათიშვას ნიშნავენ. ვარშავის ხელშეკრულება კი განამტკიცებს გერმანიის პატრიოტულ ძალებს, რათა მათ წარმატებით შეძლონ კვლავ იარონ თავიანთი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანების გზით. პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას ართმევენ უფლებას მიაღწიოს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ გერმანია გაერთიანდეს მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე. ვარშავის ხელშეკრულება კი — და ეს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის აზრით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოქმში — უტოვებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას სრულ თავისუფლებას, რომ აწარმოოს მოლაპარაკება გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ. ხელშეკრულების მიზანი, რომელსაც ჩვენ სავსებით ვეთანხმებით, არის ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა და ამასთანავე ის, რომ შეიქმნას გერმანიის მშვიდობიანი და დემოკრატიული გაერთიანების შესაძლებლობა ევროპაში მშვიდობის შესანარჩუნებლად. გერმანიის მშვიდობიანი და დემოკრატიული გაერთიანება გერმანელი ხალხის ხელშეუვალი ეროვნული უფლებაა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მთელი ძალებით დაიცავს და განახორციელებს ამ უფლებებს.

* * *

შემდეგ განცხადება გააკეთა უნგრეთის დელეგაციის თავმჯდომარემ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანდრაშ ჰეგედიუშმა. მან თქვა, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია სავსებით ეთანხმება იმ შეფასებას, რომელიც ამხანაგმა ბულგანინმა მისცა შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობას, დიდი სიხარულით იღებს და მიესალმება წინადადებებს, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ დასახა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ჩვენი ხალხების მშვიდობისა და უშიშროების დაცვის მიზნით.

უნგრელი ხალხი ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად დიდი სიხარულით შეეგება და მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობის წინადადებებს, რომ მოლაპარაკების გზით გადაიჭრას სადავო საერთაშორისო საკითხები — გერმანიის საკითხი, შეიარაღების შემცირების საკითხი, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საკითხი.

უნგრელი ხალხი, განაცხადა შემდეგ ჰეგედიუშმა, დიდად აღშფოთებულია იმის გამო, რომ მშვიდობის ბანაკის ქვეყნების იმ მისწრაფებათა წინააღმდეგ, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ხელმძღვანელობენ, ამ უკანასკნელ თვეებში გააძლიერეს თავიანთი საომარი მზადება და საფრთხეს უქმნიან მშვიდობის ბანაკის ქვეყნების მშვიდობასა და უშიშროებას, მათ შორის ჩვენს სამშობლოსაც. ისინი კვლავ გამალებით ეწევიან შეიარაღებას. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების მოქმედება ამ უკანასკნელ დრომდე მოწმობდა, რომ მათ არა სურდათ შეიარაღების შემცირება და თუ ლაპარაკობდნენ ამაზე, ეს მხოლოდ იმიტომ ხდებოდა, რომ შეენიღბათ შეუკავებელი გამალებული შეიარაღება და ატომური ომის მზადება.

უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოების აგრესიულ ღონისძიებათაგან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს გერმანული მილიტარიზმის აღდგენა. პარიზის შეთანხმებანი სპობენ უკანასკნელ ბარიერებს გერმანული მილიტარიზმის ხელახლა შეიარაღების გზაზე. ეს შეთანხმებანი აბამენ დასავლეთ გერმანიას აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში და მის დამხმარე ორგანიზაციაში — „დასავლეთ ევროპის კავშირში“.

უნგრელ ხალხს კარგად ახსოვს, თუ რა მძიმე შედეგები ჰქონდა მისთვის ავსტრიის ძალით დაპყრობას, და ამიტომ იგი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალყურს აღორძინებული გერმანული მილიტარიზმის გეგმებს და დიდი აღშფოთებით უპასუხებს დასავლეთ გერმანიის ზრახვებსა და მისწრაფებებს, რომელთა მიზანია ახალი ანშლუსის განხორციელება.

უნგრელი ხალხი თავის ისტორიაში საუკუნეობით იტანჯებოდა გერმანული მილიტარიზმისაგან და კარგად იცის, თუ რას იწვევს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია. მისთვის ფუჭი ლაყბობაა ლაპარაკი გერმანული მილიტარიზმის კონტროლისა და შეზღუდვის შესახებ, რასაც ხშირად იმეორებენ დასავლეთში. ისტორიის გაკვეთილები ადასტურებენ, რომ ასეთი დამამშვიდებელი განცხადებანი მხოლოდ ნიღბავენ გერმანელი მილიტარისტების დაპყრობით მისწრაფებებს და ხელს უწყობენ ამ მისწრაფებებს. უნგრელმა ხალხმა იცის, რომ გერმანული მილიტარიზმის აღდგენა საფრთხეს უქმნის მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, და ამიტომ თვითონ ყველაფერს გააკეთებს, რაც კი საჭიროა საფრთხის თავიდან ასაცილებლად. უნგრეთის მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, პროგრესული ინტელიგენციის — მთელი უნგრელი ხალხის ერთსულოვანი ნების შესაბამისად, განაგრძო ჰეგედიუშმა, უნგრეთის მთავრობის დელეგაციას სავსებით სწორად მიაჩნია ჩვენს წინაშე მდებარე პროექტები მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებისა, აგრეთვე გაერთიანებული სამხედრო სარდლობის შექმნის ხელშეკრულებისა, რადგან ეს პროექტები სავსებით შეესაბამებიან ახლანდელი საერთაშორისო ვითარების მოთხოვნებს. უნგრეთის მთავრობის დელეგაცია იღებს და ხელს მოაწერს მათ.

ჰეგედიუშმა შემდეგ აღნიშნა, რომ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც თათბირის საგანია, სავსებით შეესაბამება ხალხთა თავდაცვის ხელშეუვალ უფლებას და იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც ხელმოწერილ იქნა წინათ გერმანული მილიტარიზმის აღორძინებისა და ახალი აგრესიის თავიდან ასაცილებლად. იმის გამო, რომ ეს ხელშეკრულება ისეთი რეგიონალური შეთანხმებაა, რომელიც მიზნად ისახავს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებას, და რომ ამ ხელშეკრულებას მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითი ხასიათი აქვს, იგი სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსა და მიზნებს. იგი შეესაბამება აგრეთვე სახელმწიფოთა თანამშრომლობის ძირითად პრინციპებს, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს. ეს პრინციპები შეიძლება მიიღოს ყველა ქვეყანამ, მიუხედავად მათი სახელმწიფო წყობილების ხასიათისა.

ამრიგად, თქვა ჰეგედიუშმა, ეს ხელშეკრულება მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს ხალხთა დაახლოებას, გააძლიერებს მათს თანამშრომლობას, რადგან იგი ღიაა ყველა ქვეყნისათვის, რომელსაც სურს შეუერთდეს მას.

ეს ხელშეკრულება ძლიერ უწყობს ხელს ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას, რომელიც ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში მეტად საჭიროა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა იმთავითვე უჭერდა მხარს საბჭოთა კავშირის მიერ ბერლინის თათბირზე წარდგენილ სრულიად ევროპის ხელშეკრულების პროექტს კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ, რადგან ამ წინადადების განხორციელება ევროპის ყველა ხალხისა და სახელმწიფოსათვის საიმედო გარანტია იქნებოდა ახალი აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ. ამავე

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# ევროპის სახელმწიფოთა ვარშავის თათბირი ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ

(დასასრული)

დროს იგი შესაძლებელს გახდიდა შემცირებულიყო შეიარაღება, რაც თავის მხრივ უდიდესი ტვირთისაგან გაათავისუფლებდა ხალხებს. ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მიღება შეეძლებოდა ევროპის ყველა ქვეყანას, ხოლო თუ სურვილი ექნებოდათ, — ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. უშიშროების ასეთი სისტემა ქმედითი და სრულფასოვანი გარანტია იქნებოდა ყოველგვარი აგრესიის წინააღმდეგ ამ სისტემის მონაწილე ყველა პატარა და დიდი სახელმწიფოსათვის. ამრიგად, ევროპის ქვეყნები არ იქნებოდნენ გათიშულნი ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანაკად, არამედ შექმნიდნენ ისეთ თანამშრომლობას, რომელიც განახორციელებდა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე ქვეყნების მშვიდობიან თანაარსებობას.

ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა შექმნიდა საიმედო გარანტიას გერმანული მილიტარიზმის წინააღმდეგ და ხელს შეუწყობდა გერმანიის ერთიანობის შექმნას მშვიდობიანი გზით.

სწორედ ამიტომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას უთუოდ სწორად მიაჩნია, რომ ხელშეკრულების პროექტის შესავალ ნაწილში აღნიშნულია ჩვენი ქვეყნების მისწრაფება — შექმნან ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა, აგრეთვე ის, რომ ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შემთხვევაში ეს ხელშეკრულება ძალას დაკარგავს.

გარანტია, რასაც ხელშეკრულება იძლევა იმისათვის, რომ აგრესიის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდები მხარეები მათს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით დაუყოვნებლივ გაუწევენ დახმარებას იმ მხარეს, რომელმაც თავდასხმა განიცადა, ჩვენი ხალხის ნამდვილ ეროვნულ ინტერესებს ემსახურება.

ეს ხელშეკრულება ჩვენი მშვიდობიანი განვითარების დიდმნიშვნელოვანი პირობაა, ამიტომ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, რომ ამის შესაბამისად გავაძლიეროთ და გავაღრმავოთ ჩვენი თანამშრომლობა ხელშეკრულების დამდებ ყველა მხარესთან.

ამ კავშირში ჩვენი თითქმის ათმილიონიანი ხალხის ხმა ერთვის მსოფლიოს ასეულმილიონიანი ხალხების ხმას. ეს კავშირი, რომელიც უძლეველ ძალას წარმოადგენს, არის ჩვენი ეროვნული უშიშროების დამცველი, ძლიერი იარაღი უნგრეთის მოპოვებული თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში.

დღეს ჩვენ ისეთი მტკიცე რწმენით, მშვიდად და დარაზმულნი ვუპირისპირდებით აგრესორთა მუქარას, როგორიც ჯერ არასოდეს არ ყოფილა უნგრეთის ისტორიაში. თუ საჭირო გახდა ამ თათბირის მონაწილე სახელმწიფოებთან ერთად გამოსვლა, ჩვენ შევძლებთ დავიცვათ და ნამდვილად დავიცავთ ჩვენი ხალხის თავისუფლებასა და ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობას, რაც ესოდენ დიდხანს არა გვქონია და რაც მით უფრო ძვირფასი განძია ჩვენთვის.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ უნგრეთის მთავრობის დელეგაცია ამ ხელშეკრულებას აფასებს როგორც ისეთს, რომელიც სავსებით შეეფერება უნგრელი ხალხის ინტერესებს, რამდენადაც იგი იცავს უნგრეთის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას და განამტკიცებს ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას, ჰეგედიუშმა დასასრულ განაცხადა:

შემიძლია დავარწმუნო ხელშეკრულების ყველა მონაწილე, რომ უნგრელი ხალხი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ყოველ ღონისძიებას იხმარენ იმისათვის, რომ ძალების დაუშურებლად ყველა დარგში სავსებით შეასრულონ ვალდებულებანი, რომლებსაც მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება შეიცავს.

* * *

12 მაისს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხთა ევროპის სახელმწიფოების ვარშავის თათბირის მესამე სხდომაზე განცხადება გააკეთა ალბანეთის დელეგაციის მეთაურმა, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მეჰმეთ შეხუმ. მან განაცხადა, რომ იმ ახალი საშიში მდგომარეობის მიხედვით, რომელიც ევროპაში შეიქმნა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციასთან დაკავშირებით, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, მოსკოვის თათბირის დეკლარაციის შესაბამისად, მზად არის ამ თათბირის მონაწილე ქვეყნების მთავრობებთან ერთად მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიება ყოველგვარი შესაძლო აგრესიისაგან ამ ქვეყნების უშიშროების უზრუნველსაყოფად.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და ალბანელი ხალხი, თქვა მ. შეხუმ, ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადება და ჩვენი შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შექმნა უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნების ურთიერთ მეგობრობასა და ფოლადისებურ ერთიანობას.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისათვის ამ ხელშეკრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ალბანელი ხალხის მტრებს საუკუნეობით სძულდათ იგი, სძარცვავდნენ და მონობას განუმზადებდნენ მას, ყოველგვარ შეთქმულებას აწყობდნენ მის წინააღმდეგ. ჩვენი ხალხი არ ივიწყებს და არასოდეს არ დაივიწყებს ამას. სწორედ ამიტომ იგი გამსჭვალულია მისწრაფებით — იბრძოლოს ბოლომდე, რათა არ დაუშვას საშინელი წარსულის დაბრუნება. პირველი და ნამდვილი მეგობარი ალბანელმა ხალხმა შეიძინა საბჭოთა კავშირის სახით, რომელმაც იგი გაათავისუფლა მონობისაგან, მიანიჭა თავისუფლება და სიცოცხლე. ახლა ჩვენი ხალხი თავს გრძნობს ძლიერად, იმიტომ რომ ჰყავს ისეთი ერთგული და ძლიერი მეგობრები, როგორიც არიან ჩვენი უძლეველი დემოკრატიული ბანაკის ქვეყნები. სოციალისტური ქვეყნების დიდ ოჯახში ალბანელმა ხალხმა მოიპოვა სამართლიანი მოპყრობა ფავისადმი. ჩვენი ქვეყანა, რომელიც გუშინდლამდე იმპერიალისტებს სძულდათ და დაჩაგრული იყო მათგან, ახლა თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც ქმნის სოციალიზმის საფუძვლებს და აშენებს ურთიერთობას დიდ საბჭოთა კავშირთან, დიდ სახალხო ჩინეთთან, სოციალისტური ბანაკის ყველა მოძმე ქვეყანასთან თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე. ჩვენი ქვეყანა მოწვეულია მონაწილეობა მიიღოს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ამ ხელშეკრულებაში, რომელიც სავსებით შეესაბამება ჩვენი სახელმწიფოსა და ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და რომელიც ემყარება დიდი და პატარა სახელმწიფოების თანასწორუფლებიანობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ლენინურ პრინციპებს; მონაწილეობა მიიღოს ხელშეკრულებაში, რომელიც წარმოადგენს ახალი საერთაშორისო ურთიერთობის, სოციალისტური ურთიერთობის მკაფიო გამოვლინებას, რომელიც დამყარებულია ჩვენი ბანაკის ქვეყნებს შორის. ალბანელ ხალხს სავსებით შეგნებული აქვს, რომ ყველა ამ ისტორიულ გამარჯვებას იგი უნდა უმადლოდეს საბჭოთა კავშირის მეგობრობასა და ბრძნულ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, მშვიდობისა და სოციალიზმის ბანაკისადმი მის ურყევ ერთგულებას.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა, თქვა დასასრულ მ. შეხუმ, სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების მხარდამხარ კვლავაც იბრძოლებს და თავის წვლილს შეიტანს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დაცვის საქმეში.

ჩვენი ქვეყნის მთავრობა და ხალხი მუდამ დაიცავენ და განამტკიცებენ მშვიდობისა და სოციალიზმის ჩვენი იმ დიდი ბანაკის მეგობრობასა და ფოლადისებურ ერთიანობას, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, გააძლიერებენ სიფხიზლეს მტრების მიმართ, განამტკიცებენ თავიანთი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

ჩვენს დელეგაციას ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ალბანელი ხალხისაგან დავალებული აქვს თქვენს წინაშე საქვეყნოდ დადოს პირობა, რომ ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, რათა ღირსეულად შევასრულოთ ყველა ვალდებულება, რომლებიც ამ ისტორიული თათბირის გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობენ, რომ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა მუდამ ერთგული იქნება მშვიდობისა და სოციალიზმის ბანაკისა, სალ კლდესავით იდგება ადრიატიკის ზღვის ნაპირზე, დაიცავს მშვიდობას, დაიცავს ჩვენი სამშობლოს ინტერესებს და ჩვენი სოციალისტური ბანაკის ინტერესებს.

# კ ო მ უ ნ ი კ ე

## ოთხი სახელმწიფოს ელჩთა თათბირის მუშაობის შესახებ ავსტრიის წარმომადგენელთა მონაწილეობით

ვენა, 12 მაისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა შემდეგი კომუნიკე:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, შეერთებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩთა თათბირმა, ავსტრიის რესპუბლიკის წარმომადგენელთა მონაწილეობით, წარმატებით დაამთავრა მუშაობა დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულების ტექსტის მოსამზადებლად.

მიღწეულ იქნა სრული ერთსულოვნება ხელშეკრულების პროექტის ყველა მუხლის შესახებ.

ოთხი სახელმწიფოს ელჩები და ავსტრიის წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდებიან ხვალ დილის 9 საათსა და 30 წუთზე, რათა განიხილონ ტექნიკური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ოთხ ენაზე შედგენილი ხელშეკრულების ტექსტების შეთანხმებასთან.

კვირის დამლევს ვენაში შეიკრიბებიან სსრ კავშირის, შეერთებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები ავსტრიის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რათა განიხილონ ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულება და ხელი მოაწერონ მას.

# „შეთანხმების მიღწევის დიდი იმედი“

## ინგლისის პრესა საბჭოთა მთავრობის წინადადების შესახებ

ლონდონი, 12 მაისი. (საკდესი). ინგლისის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა მთავრობის წინადადებას შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხთა შესახებ. გაზეთები მიესალმებიან განიარაღების საკითხებზე თვალსაზრისთა დაახლოებას, ამასთანავე სადავოდ ხდიან საბჭოთა კავშირის წინადადებათა ცალკეულ პუნქტებს.

გაზეთ „ნიუს კრონიკლის“ დიპლომატიური მიმომხილველი ფორესტი პარიზიდან გამოგზავნილ ცნობაში „ფრიად მიმზიდველს“ უწოდებს საბჭოთა წინადადებებს და აღნიშნავს, რომ, საფრანგეთის დედაქალაქში გამოწვეული გამოხმაურების მიხედვით, ეს წინადადებები „სწორედ ისეთია, როგორც საჭირო იყო“.

საბჭოთა წინადადებები, წერს „ტაიმსი“, „უეჭველია სულს შთაბერავენ მოლაპარაკებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში. სავსებით ნათელი უნდა იყოს, რომ ეს წინადადებები, მიუხედავად იმისა, რომ ფართო წრეს მოიცავენ, განკუთვნილია უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ ისინი განიხილოს ქვეკომიტეტმა, რომელიც, თავის მხრივ, პასუხს აგებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის წინაშე“. მაგრამ „ტაიმსი“ მკვეთრად ეწინააღმდეგება წინადადებას, რომ ლიკვიდირებულ იქნას უცხოეთის სამხედრო ბაზები სხვის ტერიტორიებზე, ამტკიცებს რა, რომ ამ შემთხვევაში დასავლეთი დარჩებოდა... „დაუცველი“.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ აღიარებს, რომ „ამერიკის ბაზები, უეჭველია, შეშფოთების წყაროა საბჭოთა კავშირისათვის“, მაგრამ მიაჩნია, რომ ამ ბაზების ლიკვიდაციას უარყოფითი შედეგები მოჰყვებოდა დასავლეთის ქვეყნებისათვის.

„ნიუს კრონიკლი“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა წინადადება „შეთანხმების მიღწევის ყველაზე დიდ იმედს იძლევა მას შემდეგ, რაც კი აღმოსავლეთი და დასავლეთი პირველად შეუდგნენ ამ აბნეული და მტანჯველი პრობლემის განხილვას. მოსკოვის თვითეული წინადადება უნდა შევისწავლოთ მისგან გამომდინარე ყველა შედეგთან ერთად“.

„დეილი უორკერი“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ თუ საბჭოთა წინადადება „საფუძვლად უნდა დაედოს შეიარაღების შემცირებას, ინგლისის მთავრობას არ შეუძლია ამავე დროს მხარი დაუჭიროს დასავლეთ გერმანიის ნახევარმილიონიანი არმიის შექმნას“.

# ამერიკის პრესა საბჭოთა მთავრობის წინადადების შესახებ

ნიუ-იორკი, 12 მაისი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის წინადადებამ შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკის საზოგადოებრიობაში. ითვალისწინებენ რა ამ მწვავე ინტერესს, გაზეთები ათავსებენ ვრცელ ცნობებს საბჭოთა წინადადების შესახებ და სხვადასხვა კომენტარს უძღვნიან მას. გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ მოათავსა წინადადების სრული ტექსტი, გადაცემული საკდესის მიერ.

როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, მთავრობის წრეებში საბჭოთა წინადადება დაახასიათეს „როგორც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც გულდასმით უნდა იქნას შესწავლილი“.

გაზეთების უმრავლესობა იძულებულია აღიაროს საბჭოთა წინადადების უდიდესი მიმზიდველი ძალა.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ შეშფოთებას გამოთქვამს იმ გავლენის გამო, რასაც დასავლეთ გერმანიაში მოახდენს საბჭოთა წინადადება გერმანიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის შესახებ. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სარედაქციო სტატიაში იგრძნობა შეშფოთება იმის გამო, რომ სსრ კავშირის წინადადება ითვალისწინებს სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას და გერმანიიდან ჯარების გაყვანას.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კარპენტერი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოდან (ნიუ-იორკში) იუწყება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის „უახლეს და უდიდეს სამშვიდობო წინადადებას“ მიესალმებიან „როგორც უაღრესად დიდმნიშვნელოვან ფაქტორს ახლანდელ ღონისძიებებში, რომლებიც ხორციელდება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გადაუჭრელი საკითხების მოწესრიგებისათვის“.

„დასავლეთისა და ნეიტრალური ქვეყნების დელეგატებმა განაცხადეს, რომ ამ დოკუმენტს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი გამოქვეყნდა იმ დროს, როცა დიდი ოთხეულის მთავრობათა მეთაურები აპირებენ თათბირის მოწვევას მიმდინარე წლის ზაფხულში.

მოსკოვის მიერ წამოყენებულ წინადადებათა უმრავლესობა წინათაც იყო შეტანილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამა თუ იმ ფორმით, მაგრამ დასავლეთმა უარყო როგორც მიუღებელი. მაგრამ ახლა დასავლეთს, როგორც ჩანს, მოუხდება ახალი პასუხის გამონახვა, რათა დააკმაყოფილოს რუსები“.

# საფრანგეთის პრესის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის წინადადების გამო

პარიზი, 12 მაისი. (საკდესი). პარიზის ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას მოათავსა ცნობა შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე საბჭოთა მთავრობის წინადადების შესახებ. გაზეთებმა დიდი სათაურებით გამოაქვეყნეს ამ წინადადების სრული ტექსტი ან დაწვრილებითი შინაარსი. გამოქვეყნებულია აგრეთვე უცხოეთის პრესის მრავალი გამოხმაურება.

გაზეთების უმრავლესობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა წინადადება შეიცავს ახალ დიდმნიშვნელოვან მომენტებს.

გაზეთ „კომბას“ სიტყვით, საბჭოთა დიპლომატია მუდამ გამოირჩეოდა „მოქნილობით და რეალიზმით“, რასაც კვლავ ადასტურებს საბჭოთა წინადადება. საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული სისტემა რომ მიღებულ იქნას, აღნიშნავს გაზეთი, „გადაილახება პარიზის შეთანხმებებით შექმნილი ყველა სიძნელე და გერმანია პრაქტიკულად ნეიტრალიზებულ იქნება“.

მემარჯვენე გაზეთი „ორორი“ აცხადებს, რომ „სრულიად უშენიშვნოდ“ მიესალმება საბჭოთა პროექტს. „შეგვიძლია მხოლოდ სიხარულით შევხედოთ ღონისძიებებს, — წერს გაზეთი, — საიდანაც უნდა გამომდინარეობდნენ ისინი, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების შეწყვეტა. გარდა ამისა, კარგს მოასწავებლად მიგვაჩნია ის, რომ ხსენებული წინადადება არის კეთილი ნების ერთ-ერთი ფაქტი, რომელიც, ბოლოს, შესაძლებლობას მოგვცემს განვაახლოთ ახლო მომავალში მოლაპარაკება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“...

გაზეთი „ლიბერასიონი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განიარაღების ახალ საბჭოთა გეგმაში მნიშვნელოვანწილად გათვალისწინებულია დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობების სურვილები და საწინააღმდეგო მოსაზრებანი, რაც ამ გეგმას სავსებით მისაღებს ხდის მათთვის.

გაზეთი „ლუმანიტე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის წინადადება შეესაბამება ყველა ხალხის მისწრაფებებს.

საბჭოთა კავშირის წინადადება, წერს გაზეთი, ქმნის საფუძველს სერიოზული მოლაპარაკებისათვის, და, თუ ამას დავუმატებთ, რომ ეს წინადადება შეტანილ იქნა მაშინ, როცა ბულგანინმა ვარშავაში განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა დადებითად ეკიდება ოთხი სახელმწიფოს თათბირის იდეას იმ შემთხვევაში, თუ იგი ნამდვილად შეუწყობს ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, — ნათელი ხდება, რომ სსრ კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

# გამოხმაურება დასავლეთ გერმანიაში საბჭოთა მთავრობის წინადადების გამო

ბერლინი, 12 მაისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის გაზეთებმა მოათავსეს პირველი კომენტარები შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე საბჭოთა მთავრობის წინადადების გამო.

„ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებანი შეიცავენ „კარგ მასალას განიარაღების კომისიის მუშაობისათვის და მისაღებ მასალას ოთხი სახელმწიფოს თათბირისათვის“.

„ფრანკფურტერ ალგემაინე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის ახალი წინადადებანი „დაძაბულობის შენელების ისეთ პერსპექტივებს უსახავენ დიდ სახელმწიფოებს, როგორიც წინათ არასოდეს არ ყოფილა“. გაზეთს აგრეთვე მიაჩნია, რომ საბჭოთა წინადადება წარმოადგენს „ფართო საფუძველს მოლაპარაკებისათვის“.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა განცხადება

ლონდონი, 12 მაისი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში საფრანგეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ჟიულ მოკმა გააკეთა განცხადება საბჭოთა მთავრობის წინადადების გამო შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე.

ჯერ ჟიულ მოკმა გააკეთა საბჭოთა მთავრობის წინადადებათა მოკლე მიმოხილვა და აღნიშნა მთელ რიგ წინადადებათა მსგავსება ინგლის-საფრანგეთის 1954 წლის ივნისის გეგმასთან.

„... მე არასოდეს არ დამიკარგავს, თქვა მოკმა, საბოლოო შეთანხმების იმედი, მაშინაც კი, როცა ჩემს ოპტიმიზმს მისაყვედურებდნენ, და მახარებს ეს დაახლოება“.

დასასრულ მოკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განიარაღების საკითხებზე თვალსაზრისთა დაახლოება „ბედნიერების მომასწავებელია იმ მოლაპარაკებისათვის, რომელიც დაიწყება მთავრობათა დონეზე“.

ლონდონი, 12 მაისი. (საკდესი). პრეს ასოშიეიშენის სააგენტოს ცნობით, გუშინ პრეს-კონფერენციაზე ლონდონში საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ნატინგმა (რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში ინგლისის დელეგაციას მეთაურობს) გააკეთა განცხადება საბჭოთა კავშირის მთავრობის 10 მაისის წინადადების შესახებ.

„ეს უკანასკნელი საბჭოთა დეკლარაცია, — ამბობს ნატინგი, — როგორც ჩანს, მოასწავებს წინ გადადგმულ ნაბიჯს განიარაღების შესახებ ხელშეკრულებაში ზოგიერთ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში პოზიციის შეთანხმების გზაზე... საბჭოთა კავშირის უკანასკნელმა ნაბიჯმა ჩვენი პოზიციისაკენ წარმოშვა იმის იმედი, რომ შემდგომში მოხერხდება წარმატების მიღწევა იმ სხვა მომენტების აღკვეთის საქმეში, რომლებიც უთანხმოებას იწვევენ“.

ლონდონი, 12 მაისი. (საკდესი). ამერიკის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში უოდსვორტმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის 10 მაისის წინადადებანი ისეა ფორმულირებული, რომ ისინი, როგორც ჩანს, „ბევრი მხრივ იმ თვალსაზრისთა ანალოგიურია“, რომლებსაც კანადა, საფრანგეთი, ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები ადგენენ. მაგრამ განცხადების ტექსტიდან ძნელია იმის გაგება, ახარებს თუ არა უოდსვორტს თვალსაზრისთა დაახლოება.

დასასრულ უოდსვორტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „უაღრესი პასუხისმგებლობით განიხილავენ საბჭოთა პოზიციას“.

რედაქტორი ნ. ჟაში.


## დღეს

### თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — დაისი, რუსთაველის სახელობის — პირველი ნაბიჯი, მარჯანიშვილის სახელობის — მარიამ სტიუარტი, გრიბოედოვის სახელობის — ტურბინთა დღეები, სომხური დრამის — საიათნოვა, მუსიკალური კომედიის — ბრწყინვალე მომავალი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ბაშიაჩუკი (აბონემენტი № 4, 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — თალგამი (10 ს. და 1 ს.), ვერაგობა და სიყვარული (8 ს.).

### კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — მოცეკვავე მეკობრე, კომკავშირელი, კოლხიდა (საზამთრო) — ანტუანი და ანტუანეტა, დიდუბე, კომუნარების ბაღი — ვეფხვების მომთვინიერებელი, კოლხიდა (საზაფხულო) — თეთრი ფაფარი და არგენტინიდან მექსიკამდე, თბილისი — იმედი და ქალიშვილი ცირკში, დიდუბე (საზაფხულო) — ცივი ზღვა, კოლმეურნე — ავარა (I და II სერია), კიროვის სახელობის პარკი — ჯამბაზები, ოფიცერთა სახლი, გორკის სახელობის კლუბი — რომეო და ჯულიეტა, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ჯაშუშების ქსელი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — საყვარელი მეგობარი.

## ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო აცხადებს

ქალაქის მოსახლეობის საყურადღებოდ, რომ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიმდინარე წლის 27 აპრილის № 140 გადაწყვეტილების თანახმად 1955 წლისათვის დაწესებულია ტრამვაისა და ტროლეიბუსის მოძრაობის შემდეგი მარშრუტები:

I. ტრამვაის მატარებლების მოძრაობის მარშრუტები

მარშრუტი № 1 — ვაგზალი — ჩელუსკინელების ქუჩა — ძნელაძის ქუჩა, კოლმეურნის მოედანი და უკან ახასთუმნის ქუჩით.

მარშრუტი № 2 — ვაგზალი — ახასთუმნის ქუჩა — ჩელუსკინელების ქუჩა — კოლმეურნის მოედანი და უკან ჩელუსკინელების ქუჩით.

მარშრუტი № 4 — ვაგზალი — კალინინის ქუჩა — კოლმეურნის მოედანი და უკან.

მარშრუტი № 5 — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (ვაკე) — მელიქიშვილის ქუჩა — კოლმეურნის მოედანი და უკან.

მარშრუტი № 5ა — სოფელი ბაგები — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — მელიქიშვილის ქუჩა — კოლმეურნის მოედანი და უკან.

მარშრუტი № 6 — „დინამოს“ სტადიონი — საბჭოს ქუჩა — კიროვის სახელობის ქარხანა და უკან.

მარშრუტი № 7 — ვაგზალი — კალინინის ქუჩა — შაუმიანის ქუჩა — 5 დეკემბრის ქუჩა და უკან.

მარშრუტი № 8 — ვაგზალი — კალინინის ქუჩა — შაუმიანის ქუჩა — წისქვილკომბინატი და უკან.

მარშრუტი № 9 — კოლმეურნის მოედანი — შაუმიანის ქუჩა — 5 დეკემბრის ქუჩა და უკან.

მარშრუტი № 10 — კოლმეურნის მოედანი — კალინინის ქუჩა — მაუდის ფაბრიკა (დიდუბე) და უკან.

მარშრუტი № 11 — „დინამოს“ სტადიონი — საბჭოს ქუჩა — ლოკომოტივ-სარემონტო ქარხნის სახლები და უკან.

მარშრუტი № 12 — კოლმეურნის მოედანი — კალინინის ქუჩა — საბჭოს ქუჩა — კიროვის სახელობის ქარხანა. უკან: კიროვის სახელობის ქარხანა — საბჭოს ქუჩა — ჩელუსკინელების ქუჩა — ძნელაძის ქუჩა — კოლმეურნის მოედანი.

მარშრუტი № 13 „დინამოს“ სტადიონი — საბჭოს ქუჩა — ლოტკინის მთა და უკან.

მარშრუტი № 15 — კოლმეურნის მოედანი — შაუმიანის ქუჩა — წისქვილკომბინატი და უკან.

მარშრუტი № 16 — მელიქიშვილის ქუჩა — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და უკან.

II. ტროლეიბუსის მანქანების მოძრაობის მარშრუტები

მარშრუტი № 1 — „დინამოს“ სტადიონი — პლეხანოვის პროსპექტი — კ. მარქსის მოედანი და უკან.

მარშრუტი № 2 — ვაგზალი — პლეხანოვის პროსპექტი — რუსთაველის მოედანი — ლენინის მოედანი და უკან.

მარშრუტი № 3 — „დინამოს“ სტადიონი — პლეხანოვის პროსპექტი — რუსთაველის მოედანი — ლენინის მოედანი და უკან.

მარშრუტი № 4 — ლენინის მოედანი — ლენინის ქუჩა — ანაგის ქუჩა — (საბურთალო) და უკან.

მარშრუტი № 5 — „დინამოს“ სტადიონი — ჩელუსკინელების ქუჩა — ანაგის ქუჩა — მედქალაქი და უკან.

მარშრუტი № 6 — ლენინის მოედანი — მარჯანიშვილის მოედანი (იმუშავებს მიმდინარე წლის 15 მაისიდან).

მარშრუტი № 7 — ბარათაშვილის ქუჩა — ლენინის მოედანი — მიასნიკოვის ქუჩა — ორთაჭალა და უკან.

მარშრუტი № 8 — ლენინის მოედანი — მელიქიშვილის ქუჩა — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და უკან.

მარშრუტი № 9 — ვაგზალი — ჩელუსკინელების ქუჩა — მელიქიშვილის მოედანი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და უკან.

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო.


## არქიტექტორთა შემოქმედებითი თათბირი

ა. წ. 14-15 მაისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) საქართველოს არ[illegible]

14 მაისს სხდომა დაიწყება საღამოს 8 საათზე, 15 მაისს — დილის 11 საათზე.

[illegible]


ძმა თომა ოჯახით და ნათესავებით იუწყება ფოტინე შედანიკას ასულ სანიკიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-V, 5 ს. ცხაკაიაში.

ძმები სიმონ, პეტრე, სერგო ოჯახებით იუწყებიან [illegible]

[illegible]


რედაქციის, გამომცემლობის და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: [illegible]

უე 00399

პოლიგრაფული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.